ლაზი

№138
(12 208)

14 ივნისი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოპმიოლერს არგუმენტებით დაველაპარაკებით

ინტერვიუ რევაზ არველაძესთან

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მიმდინარე ევროშესარჩევში ჭაკად წაუვიდა საქმე - მხოლოდ ფარერების ნაკრებთან მოიპოვა ქულები და ექვსი მატჩი წააგო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე უშუალოდ სპორტულ საკითხებს განაგებს და რესპონდენტადაც ის ავარჩიეთ.

ეროვნულ გუნდს ორგანიზაციული საკითხები მოგვარებული აქვს, შედეგი კი არა და არ ჩანს - ასეთ ვითარებაზე პასუხისმგებელი პირველ რიგში მწვრთნელია და არველაძესაც მეტწილად ჩვენი ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერზე ვესაუბრეთ.

- ნაკრებმა ბოლო ორი თამაშიც წააგო. რა პოზიცია იკვეთება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ტოპმიოლერთან კონტრაქტის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით?

- ამ ეტაპზე არასწორად მიმაჩნია ამ თემაზე ლაპარაკი, ეს საკითხი ნოემბერ-დეკემბერში უნდა გადაწყდეს.

- გასაგებია, მაგრამ უკვე ახლაც კარგად ჩანს ბევრი რამ...

- ტოპმიოლერის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ჩვენი ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები ერთ სისტემაში არიან მოქცეულნი. ტოპმიოლერს საკმაოდ ბევრი ინფორმაცია აქვს ამ ნაკრებების ყველა ფეხბურთელზე. ჩვენ გვეგონა, რომ უფრო ნაკლები დრო დასჭირდებოდა ეროვნულ ნაკრებში სიტუაციის გამოსწორებას ან უკეთესი შედეგის მიღწევას, მაგრამ ვითარება უფრო რთული გამოდგა. ამ პერიოდმა ტოპმიოლერის თვალწინ ჩაიარა და ბუნებრივია, ის უფრო კარგად იცნობს სიტუაციას ვიდრე სხვა მწვრთნელი, რომელიც, შესაძლოა, მის ნაცვლად მოვიწვიოთ. გარდა ამისა, ფედერაციასა და ტოპმიოლერს შორის კომფორტული თანამშრომლობაა, საპრემიო სისტემაც შევიმუშავეთ მიმდინარე შესარჩევი ეტაპისთვის, რაც ყველა ნაკრებს არ გააჩნია. ზოგი ნაკრები მხოლოდ ფინალურ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში იღებს პრემიას. ფედერაცია ყველაფერს აკეთებს, რომ იდეალური პირობები ჰქონდეს საქართველოს ყველა ნაკრებს.

2

კარლსრუეში 20 ნომრით

ვითამაშებ

კანის, შოლისა და ჰესლერის ნაკვალევზე

"კარლსრუეში გადასულ ალექსანდრე იაშვილს გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით და გავესაუბრეთ...

- კარლსრუეში საკმაოდ თბილად დამხვდნენ. 20-ნომრიანი მაისურა გადმომცეს. კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე და ახალი სეზონიდან კვლავაც ბუნდესლიგაში ვიასპარეზებ.

- 10 წლის განმავლობაში "ფრაიბურგში" ასპარეზობდი და ბუნებრივია, გუნდთან და ქალაქთან განშორება გაგიჭირდებოდა. თუმცა ფოლკერ ფინკემაც დატოვა გუნდი...

- ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიტყვი, სხვა გუნდში ჩემს გადასვლას ფინკეს წასვლასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ფრაიბურგთან, ქალაქთან და გუნდთან მართლაც ტკბილი მოგონებები მაკავშირებს და ამ ყველაფერთან გამოთხოვება ჩემთვის იოლი არ ყოფილა, მაგრამ ამ ეტაპისათვის ასე სჯობდა.

- სხვა ვარიანტებიც გქონდა, მაგრამ არჩევანი "კარლსრუეზე" რატომ შეაჩერე?

- ჩემი გადაბირება მეორე ბუნდესლიგის 5 გუნდს სურდა. იყო "არმინიის", "შტუტგარტისა" და სხვა გუნდების ვარიანტებიც. ყველაზე მეტად "კარლსრუემ" იაქტიურა. კლუბის პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი ცალ-ცალკე, ხშირად მიკავშირდებოდნენ. გარდა ამისა, "კარლსრუე" მდიდარი ტრადიციების მქონე კლუბია. სწორედ ამ გუნდიდან მოვიდნენ დიდ ფეხბურთში ოლივერ კანი, მეჰმეთ შოლი, აქ უთამაშია თომას ჰესლერსაც. "კარლსრუეს" 30-ათასიანი სტადიონი ყოველთვის სავსეა... ყველაფერი ეს კი ცოტას ნამდვილად არ ნიშნავს. ყველა ამ ფაქტორის ერთობლიობამ ასეთი არჩევანი გამაკეთებინა.

3



LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

ივნის-ივლისში ლელო გამოვა 12 გვერდზე, გარდა ორშაბათის ნომრისა, რომელიც კვლავ 16-გვერდიანი იქნება

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გაცხადება...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

რევაზ არველაძე

ინტერვიუ რევაზ არველაძესთან

ტოპმიოლერთან მხოლოდ არგუმენტებით

სიტუაცია უფრო რთული აღმოჩნდა

პირველი გვერდიდან

- როცა ფედერაცია ტოპმიოლერთან კონტრაქტს აფორმებდა, რა კონკრეტული შედეგი მოსთხოვეთ მას?

- გარდა იმისა, რომ ნაკრებთა მთლიანი სისტემა შექმნილიყო სერიოზული კოორდინაციით, ტოპმიოლერს, რა თქმა უნდა, ეროვნულ ნაკრებშიც ვთხოვთ შედეგს, თუმცა, ვფიქრობ, კანონზომიერია, რომ ამ ეტაპზე ჩვენს უპირველეს ნაკრებს განსაკუთრებული შედეგები არ აქვს, ისიც გასათვალისწინებელია, თუ როგორ ჯგუფში ვართ.

- კანონზომიერებაში ალბათ ფეხბურთელთა კონტინგენტს გულისხმობთ. ტოპმიოლერი აქამდე ენდობოდა შვიდ ფეხბურთელს - კალაძე, ხიზანიშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, დემეტრაძე, არველაძე და ასათიანი - რომელთაგან შოთა არველაძე აღარ ითამაშებს ნაკრებში და ჯიუტად კიდევ იმ ფეხბურთელებს, სათამაშო პრაქტიკა რომ არ აქვთ. ნარუმატებლობებს კი იმით ამართლებს, რომ ამ შვიდეულიდან ნაკრებს სულ აკლია ტრავმირებულები და დისკვალიფიცირებულები. ყოველივე ეს გრძელდება უსასრულოდ. ამაზე თუ სთხოვთ პასუხს ტოპმიოლერს? კიდევ იმაზეც, რომ 6 ივნისს საფრანგეთთან მატჩისთვის საქართველოს ნაკრები 15 ფეხბურთელის ამარა იყო.

- ასეთ საკითხებზე საჯაროდ კომენტარის გაკეთება ჩემი მხრიდან სწორი არ იქნებოდა. ამაზე და კიდევ სხვა საკითხებზე აუცილებლად გვექნება ლაპარაკი ტოპმიოლერთან და ეს იქნება საუბარი არგუმენტებით.

- ტოპმიოლერმა ლიტვა-საფრანგეთთან მატჩებისთვის არ გამოიძახა მიხეილ აშვეთია და გოგიტა გოგუა, განაცხადა, მათ დისციპლინა დაარღვიესო, თუმცა არაფერი დაუკონკრეტებია. საზოგადოებას კი ყველაფერი აინტერესებს, რაც ნაკრებში ხდება. აშვეთია-გოგუას არგამოძახებაზე კონკრეტული ფაქტების უთქმელობამ ათასი ჭორი და ეჭვი გამოიწვია...

- ტოპმიოლერი უფრთხილდება ამ ფეხბურთელებთან ურთიერთობას, ისინი არ გამოიძახა ლიტვა-საფრანგეთისთვის, მაგრამ აშვეთია და გოგუა კვლავაც რჩებიან ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელებად.

- თქენი, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის ოპონენტები ამბობენ, რომ ტოპმიოლერის თანაშემწე რალფ მინგე ისეთ დიდ, უპრეცედენტო ხელფასს იღებს, რაც ასისტენტ მწვრთნელს არ უნდა ჰქონდეს...

- მინგეს ხელფასი ტოპმიოლერთან მოლაპარაკების ნაწილი იყო. ვერ ვიტყვი, რომ მინგე ხელფასის შესაბამისად არ მუშაობს. ის დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს და ნაკრებთა სამწვრთნელო შტაბში მნიშვნელოვანი ფიგურაა.

- საერთო ჯამში ფეხბურთის ფედერაცია არ ნანობს, რომ ტოპმიოლერთან დაიჭირა საქმე?

- არა, ტოპმიოლერს გაშვება-არგაშვებაზე შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ უნდა ვისაუბროთ. დიდი იმედგაცრუება იყო ლიტვასთან წაგება, შოტლანდიასთან და უკრაინასთან კი ლოგიკური ფრე იქნებოდა. ამ შესარჩევში კიდევ ოთხი თამაში დაგვრჩა, მათგან სამი შინ და ამ შეხვედრებში უფროა შესაძლებელი და ლოგიკური ქულების დაგროვება.

დავით თავართქილაძე

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

ლუქსემბურგმა მარტის თბილისი იუარა

ჩვენი ეროვნული გუნდი 22 აგვისტოს ლუქსემბურგის ნაკრებთან გასვლით ამხანაგურ მატჩს რომ გამართავს, ცნობილი ამბავია. იქიდან ჩვენს ფედერაციაში, ამ თამაშის გამართვასთან დაკავშირებით უკვე მოვიდა ოფიციალური დასტური.

ქართულმა მხარემ ლუქსემბურგს, საპასუხოდ 2008 წლის მარტში, ამხანაგური მატჩის თბილისში ჩატარება შესთავაზა, მაგრამ მეტოქემ საქართველოში მარტში სტუმრობა იუარა. თუმცა იქვე მოიწერა, რომ საპასუხო ამხანაგური მატჩი თბილისში აუცილებლად გაისად ან 2009 წელს ჩავატაროთო.

შეგახსენებთ, რომ ჩვენს ნაკრებს ლუქსემბურგთან აქამდე ერთი ამხანაგური მატჩი აქვს ნათამაშები. 2001 წლის 15 აგვისტოს, ქალაქ მონერიხში საქართველომ 3:0 იმარჯვა. ამ შეხვედრაში ჩვენს ნაკრებს **ალექსანდრე ჩივაძე** ხელმძღვანელობდა. ორი გოლი **გიორგი დემეტრაძემ** გაიტანა, მესამე კი **რატი ალექსიძემ**.

რაც შეეხება მეტოქის დღევანდელ მდგომარეობას, ფიფას ახალ რეიტინგში 174-ე ადგილზეა. ეროვნული ნაკრების თავკაცი **გაი ჰელერსია**. ჩვენი ნაკრების დარად, 2 და 6 ივნისს ჰელერსის გუნდმაც ჩაატარა თამაშები. ლუქსემბურგელები ალბანეთთან სტუმრად 0:2 დამარცხდნენ, მერე კი შინ იმავე ალბანეთთან 0:3 წააგეს. ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში, ლუქსემბურგი ჯგუფში რუმინეთთან, ბულგარეთთან, ჰოლანდიასთან, ალბანეთთან, ბელარუსსა და სლოვენიასთან ერთადაა და 7 მატჩიდან ჯერ ქულაც არ აუღია. ამასთან მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი.

დავით ცაბაძე

ჩაიცვით ადიდასი, მუქთად

შარშან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ "დიადორასთან" გააფორმა ხელშეკრულება და საქართველოს ყველა ნაკრები ამ ფირმის ნაწარმით იმოსება, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ფედერაცია და "დიადორა" აღარ ითანამშრომლებენ.

უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ასეთი რამ შესთავაზა - გააფორმეთ ხელშეკრულება "ადიდასთან" და გარიგება ცენტიც არ დაგიჯდებათო.

საქმე ისაა, რომ "ადიდასი" უეფას ოფიციალური პარტნიორია და უეფაც დაინტერესებულია, რომ მისმა, რაც შეიძლება მეტმა წევრმა ასოციაციამ, თავიანთი ნაკრებები "ადიდასით" შემოსოს.

თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფას წინადადება ჭკუაში დაუჯდება, მისგანვე მიიღებს გრანტს "ადიდასის" ეკიპირების შესაძენად. ფედერაციაში გვითხრეს, რომ ეს გრანტი სავსებით საკმარისი იქნება საქართველოს ყველა ნაკრებისთვის "ადიდასის" სამოსის საყიდლად.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია "დიადორასთან" თანამშრომლობით მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის. "დიადორა" ფასდაკლებით აცმევდა საქართველოს ნაკრებებს, თუმცა მხოლოდ ეს ალბათ არ არის იმის გარანტი, რომ ფედერაცია ისევ "დიადორას" აირჩევს.

როცა საქართველოს ნაკრები შარშან შინ ეთამაშებოდა საფრანგეთს და იტალიას, იყო იმის შანსი, რომ ფედერაციას ნაკრების ბევრი მაისურა გაეყიდა, მაგრამ ეს პროექტი ვერ განხორციელდა, რადგან "დიადორასთან" რაღაც-რაღაცებზე ვერ შეთანხმდა.

ერთი სიტყვით, უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას საკმაოდ საინტერესო წინადადებით მიმართა და მისგან პასუხს მალევე ელის.

დავით თავართქილაძე

საქართველოს ნაკრებისთვის ადიდასი უცხო არ არის

ფიფას რეიტინგი

5 საფეხურით უკან

ფიფამ ახალი, ივნისის თვის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც წინა თვესთან შედარებით გარკვეული ცვლილებებია. რეიტინგს ჩვენი ჯგუფის ფავორიტები ლიდერობენ.

ლიტვასა და საფრანგეთში მარცხების შემდეგ, საქართველომ 5 საფეხურით უკან დაიწია. პოზიციების დათმობა მოუწიათ ჩვენს მეტოქე უკრაინასა და შოტლანდიასაც. უკრაინელები ორი, ხოლო შოტლანდიელები ერთბაშად 9 ადგილით დაქვეითდნენ. ლიტვამ კი ჩვენი მოგებით ერთბაშად 13 საფეხურით ზემოთ აინაცვლა. ფარერებმა ერთი საფეხურით ჩამოინაცვლა.

ქვეყანა	ქულა
1 (1). იტალია	1653
2 (4). საფრანგეთი	1585
3 (2). ბრაზილია	1484
4 (5). გერმანია	1467
5 (3). არგენტინა	1373
6 (7). პორტუგალია	1323
7 (9). ესპანეთი	1273
8 (8). ინგლისი	1240
9 (6). ჰოლანდია	1220
10 (10). ჩეხეთი	1096
13 (11). უკრაინა	1044
23 (14). შოტლანდია	895
79 (92). ლიტვა	404
97 (92). საქართველო	337
186 (185). ფარერები	18

CDN ხავხასიის სიფხიელი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 155 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უმჯობესი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გაფასება სახლიდან გუმრკელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, ველოდებით!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ალექსანდრე იაშვილი

გუშინ "კარლსრუეს" ოფიციალურმა საიტმა და "კიკერმა" თითქმის ერთდროულად დაადასტურეს, რომ მომავალი სეზონიდან 29 წლის ქართველი ფორვარდი ალექსანდრე იაშვილი ბუნდესლიგაში ითამაშებს. "კიკერის" ინფორმაციით, "იაშვილი ბუნდესლიგაში გადასული "კარლსრუეს" მეხუთე შენაძენია, კრისტიან ტიმის შემდეგ კლუბმა კონტრაქტი ქართველს გაუფორმა, ამით გუნდი შეტევის ხაზზე გაძლიერდა. იაშვილის შეძენით "კარლსრუეს" მენეჯერი როლფ დომენი და მწვრთნელი ედმუნდ ბეკერი იყვნენ დაინტერესებული. როგორც კრისტიან ტიმს, იაშვილსაც კონტრაქტი 2010 წლამდე გაუფორმეს. ქართველს "ფრაიბურგის" მაისურით 147 მატჩში 29 გოლი აქვს გატანილი ბუნდესლიგაში. მან ჯოვანი ფედერიკო უნდა შეცვალოს, რომელმაც ბუნდესლიგაში გადასვლის მიუხედავად "კარლსრუე" "დორტმუნდზე" გაცვალა. იაშვილის შეძენით ბუნდესლიგის "არმინია" და მერე ბუნდესლიგის კლუბი "ჰოფენჰაიმი" იყვნენ დაინტერესებული".

"იაშვილი მოდის" - გვამცნობს, კსც-ის ოფიციალური ვებგვერდი: "ფორვარდის ძიება წარმატებით დასრულდა, ალექსანდრე იაშვილი "ფრაიბურგიდან" კარიერას "ვაილდპარკზე" გააგრძელებს. ის აპირებს დაამტკიცოს, რომ "კარლსრუეს" გამოადგება. ბოლო სეზონში მან 10 გოლი გაიტანა. იაშვილი იტალიელ ჯოვანი ფედერიკოს შეცვლის, რომელმაც 19 ბურთი გაიტანა. იაშვილმა კი მას საგოლე პასებით აჯობა, 15 (ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი) 14-ის წინააღმდეგ. მენეჯერმა როლფ დომენმა აღნიშნა, რომ ალექსანდრეს ძალიან ბევრი მთხოვნელი ჰყავდა , როგორც პირველი ისე მეორე ბუნდესლიგაში. "ჩვენ მივიღეთ ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელი, რომელიც აუცილებლად გაგვაძლიერებს".

"კარლსრუემ" მეორე ბუნდესლიგა 70 ქულით მოიგო და უახლოეს კონკურენტს 8 ქულით აჯობა. კლუბი 1894 წელს დაარსდა და 1909 წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა. "კარლსრუე" ორჯერ ფლობდა გერმანიის თასს, 1955 და 1956 წლებში. ფედერიკოს წასვლის შემდეგ იაშვილის გარდა "კარლსრუეს" შეტევის ხაზის მოთამაშეები არიან: ედმონდ კაპლანი (ალბანეთი) - 17 გოლი, 2 საგოლე პასი, სებასტიან ფრაისი - 7 გოლი, 9 პასი და სანიბალ ორაჰოვიჩი (ჩერნოგორია) - 2 პასი. ჩეხმა ირჟი კაუფმანმა(3 გოლი) ვერ გაამართლა იმედები და კლუბი უკვე დატოვა.

კარლსრუეში 20 ნოემრით

პირველი გვერდიდან

- სხვა ქვეყნის კლუბების ვარიანტი გქონდა?

- ფრანგული "სტრასბურის", მაგრამ გუნდთან ერთად ქვეყნის გამოცვლა არ მინდოდა. 10 წელია, გერმანიაში ვთამაშობ და აქედან წასვლა არ მინდოდა.

- "კარლსრუეს" ხელმძღვანელებთან უკვე გქონდა საუბარი. მთავარმა მწვრთნელმა რა გითხრა?

- მითხრა, რომ ჩემს თამაშს კარგად იცნობს და ჩემი დიდად ეიმედება. კლუბის ხელმძღვანელობასთანაც მქონდა საუბარი. ჩემზე ბევრი რამ იციან და ყველანაირად ვეცდები, "კარლსრუეში" საუკეთესოდ წარმოვჩნდე.

- ახალ გუნდში ცენტრფორვარდობას გიპირებენ, თუ თავდამსხმელების უკან გაგამწესებენ?

- ამაზე გადაჭრით ვერფერს გეტყვი. მზადებას რომ დავიწყებთ, ეს მერე გაირკვევა.

- შენ სად გიჯობს?

- მართალი გითხრა, ჩემთვის სულერთია.

- "კარლსრუემ" გასულ სეზონში მეორე ბუნდესლიგის ბომბარდირი ჯოვანი ფედერიკო გაასხვისა. მის ნაცვლად კი შენ გადაგიბირეს...

- ვხვდები რასაც მეკითხები. სადაც არ უნდა მომიწიოს თამაში, ყოველთვის მაქსიმუმის გამოვლენას ვცდილობ და "კარლსრუეშიც" ასე იქნება. საერთოდ კი, "კარლსრუეს" შემტევი პოტენციალი საგრძნობლად გაძლიერდება. შესაბამისად, კარგი შედეგებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

- მზადებას როდის იწყებთ?

- გუნდი 24 ივნისს შეუდგება სამზადისს. თუმცა სხვადასხვა ნაკრებ გუნდში მოასპარეზე ფეხბურთელები 3 ივლისს ვიკრიბებით. ახალი სეზონის დაწყების წინ კი სხვა ახალწვეულებთან ერთად ჩემი წარდგენაც იქნება.

- ფრაიბურგიდან კარლსრუე შორსაა?

- 130 კმ-ის მოშორებით. ივლისში, კარლსრუეში ბინას შევარჩევ და ოჯახით გადავბარგდები...

- ოთარ ხიზანეიშვილი "ფრაიბურგში" დარჩა?

- დიახ, ოთარს კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და ახალ სეზონსაც "ფრაიბურგში" დაიწყებს.

- ბუნდესლიგაში დაბრუნებული "კარლსრუე" რა მიზნებისთვის იბრძოლებს?

- ბუნდესლიგის მოწინავე 7 გუნდის გარდა, დანარჩენების პროგრამა მინიმუმი ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. პროგრამა მაქსიმუმი კი, რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავება. "კარლსრუეს" უმთავრესი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. მაქსიმუმ კი ათეულში მოსახვედრად უნდა ვიბრძოლოთ.

- ახალ თანაგუნდელებს ალბათ იცნობ კიდეც...

- უკვე წლებია გერმანიაში ვასპარეზობ და ბუნებრივია ბევრს ვიცნობ კიდეც.

- რომელიმესთან ხომ არ მეგობრობ კიდეც?

- არა, ასე ახლო ურთიერთობა არცერთთან არ მაქვს. თუმცა ახალ თანაგუნდელთა შორის მეგობრები მალე მეყოლება.

დავით ცაბაძე
ნიკოლოზ ნეფარიძე

დინამო

დიღმელებმა მზადება დაიწყეს

გუნდში გველესიანი და ხორგუაშვილი გამოჩნდნენ

ჩვენი ქვეყნის იმ კლუბებმა, რომლებიც ევროტურნირებზე მონაწილეობენ, უკვე დაიწყეს მზადება ახალი სეზონისთვის. გუშინ თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბნენ ნაშუადღევს, საღამოს 5 საათზე კი მწვრთნელებთან ერთად თბილისის ზღვის სიახლოვეს ივარჯიშეს. წვრთნა, რომელსაც **კახა კაჭარავა** ხელმძღვანელობდა, განლევითი ვარჯიშებითა და სირბილით შემოიფარგლებოდა. ვარჯიშში 24 ფეხბურთელი მონაწილეობდა, მათ შორის 23 წლის კამერუნელი ფორვარდი **რეიმონდ უეკუე**, ავსტრალიელი მცველი **ნედ ზელიჩი** და სლოვაკი მცველი **მიროსლავ კრშკო**. არ ჩანდა ჩერნოგორიელი ფორვარდი **ილია სპასოევიჩი**, რომელიც დღეს გამთენიისას ჩამოფრინდა თბილისში. მან ჩერნოგორიის 21-წლამდელთა ნაკრებში ითამაშა და ბულგარელთა 2:1 დამარცხებაში დაიდო წვლილი.

გუშინდელმა წვრთნამ გუნდის თავკაც **დუშან უჭრინის** გარეშე ჩაიარა. ისიც დღეს გამთენიისას დაბრუნდა თბილისში და დღესვე უხელმძღვანელებს ვარჯიშს.

გუშინდელი დღის მთავარი სიახლე ისაა, რომ დინამოელთა გუნდში ივარჯიშეს "ვიტ ჯორჯიის" მცველმა **ოლეგ გველესიანმა** და ტირასპოლიდან დაბრუნებულმა **ვალტერ ხორგუაშვილმა**. კონტრაქტი ჯერ არცერთთან არ გაფორმებულა. გასულ სეზონში მარცხენა მცველად მოთამაშე **გიორგი შაშიაშვილს**, "დინამოსთან" საიჯარო კონტრაქტის ვადა ამოეწურა და მან უკვე დატოვა გუნდი. ოლეგ გველესიანი სწორედ მარცხენა მცველი გახლავთ, ხორგუაშვილი კი მოლდოვაში დაცვის ცენტრში თამაშობდა.

ახლა კი ცოტა მეტი ვთქვათ "დინამოში" ახლადგამოჩენილ კამერუნელ ფორვარდზე. უეკუე ბაზაზე **გიორგი ნერგაძესთან** ერთად ცხოვრობს. ნერგაძის თქმით, კამერუნელი მხიარული და თბილი ადამიანია. ძალიან მოეწონა ქართული სამზარეულო. სამშობლოს ნოსტალგიას კი კამერუნული სიმღერების მოსმენით იკლავს. უეკუე ინგლისურად ცუდად, ფრანგულად კი გამართულად საუბრობს.

- ბოლოს, სამშობლოში, "უნიონ დუალაში" ვასპარეზობდი. ეს გუნდი ქვეყნის თასის მფლობელია. "უნიონში" ერთი სეზონის განმავლობაში ვითამაშე. მანამდე კი "აპენ უნიონში", "ესკუაში", "ბამბუტოსში" და სხვა გუნდებში გამოვდიოდი.

- ახალგაზრდულ ნაკრებში რამდენ მატჩში ითამაშე?

- 5 შეხვედრაში ვითამაშე და 2 გოლი მაქვს გატანილი.

- შენს სხვა მონაცემებზე რას გვეტყოდი?

- 176 სმ სიმაღლისა ვარ, 70 კგ-ს ვიწონი. ორივე ფეხს კარგად ვხმარობ და თავითაც არ ვთამაშობ ცუდად. საკუთარ თავზე ძნელია საუბარი, მაგრამ მემგონი კარგი მონაცემები მაქვს. ყველანაირად ვეცდები, ჩემი ეს პლუსები "დინამოშიც" წარმოვაჩინო, მწვრთნელებს თავი მოვაწონო და "დინამოსგან" კონტრაქტი დავიმსახურო.

- საქართველოსა" და "დინამოზე" რა იცი?

- აქ ჩამოსვლამდე არაფერი ვიცოდი. როგორც გავიგე თბილისის "დინამო" საქართველოში ყველაზე პოპულარული კლუბი ყოფილა. ევროპაში ერთი თასიც აქვს აღებული. ისიც მითხრეს, საქართველოში ყველაზე მეტი ქომაგი "დინამოს" ჰყავსო... თქვენს ქვეყანაზე ბევრი არაფერი ვიცი, რასაც ვხედავ საქართველოში ჩინებული კლიმატია, ხალხი თბილი, კეთილი და კონტაქტურია. სამზარეულო კარგი გაქვთ...

დავით ცაბაძე

დინამომ და მისმა კამერუნელმა ახალწვეულმა უეკუემ დღეს პირველად ივარჯიშეს

ალექსანდრე ფოტორაშვილის ფოტოები

ევროტურნირების წინ

ზესტაფონი ლოკომოტივზე

ოლიმპი ევროთასებს რუსთავში უმასპინძლებს

*რუსთავის სტადიონის რეკონსტრუქცია ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. "ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია** დარწმუნებულია, რომ ახალი სეზონისთვის რუსთავის სტადიონზე ხარისხიანი საფარი იქნება - ჩემპიონატის დასრულებისთანავე ახალი ბალახი დათესეს, ყოველდღიურად უვლიან და გაცილებით უკეთეს მოედანზე მოგვიწევს თამაში, ვიდრე გასულ სეზონშიო.*

*ახლა მთავარზე მოგახსენებთ: მაისის ბოლოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ლიცენზირების კომიტეტის წევრი **ბაქარ ჟორდანია** ინსპექტირებისთვის მიავლინა რუსთავში. რუსთავის "ოლიმპის" ხელმძღვანელობას საკუთარ არენაზე სურს საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების მასპინძლობა და არა თბილისში და უეფას დელეგატის ჩამოსვლამდე იყო ყველაფერი მოსაგვარებელი.*

*ჟორდანიამ გარკვეული შენიშვნები მისხა რუსთაველებს. უეფას წარმომადგენელი **ტიერი ფავრის** (სტადიონებისა და უსაფრთხოების კომიტეტი) რუსთავში 9 ივნისს ელოდნენ. თუმცა მან ვიზიტი 20 ივნისისთვის გადადო და რუსთაველებს მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორების შანსი მიეცათ.*

ბაქარ ჟორდანიას თქმით, რუსთაველებმა საკმაოდ დიდი სამუშაო ჩაატარეს: "სტადიონზე ერთი კვირაა, არ მივსულვარ, მაგრამ მითხრეს, რომ შენიშვნების დიდი ნაწილი გაითვალისწინეს. დაამონტაჟეს ახალი კარები, სკამები დანომრეს, გაარემონტეს ტელეკომენტატორების ჯიხურები, ახლიდან გაკეთდა პრესლოჟა. ტიერი ფავრი მოითხოვს დამატებით ინფორმაციას სტადიონის მზადებასთან დაკავშირებით და ვიზიტი ამიტომ გადადო. თუკი ჩვენი რეკომენდაციები შეასრულეს, საკმაოდ რეალურია, რომ "ოლიმპს" პირველი და მეორე ეტაპის მატჩების რუსთავში ჩატარების უფლება დართონ. თუმცა იქ მესამე შესარჩევი ეტაპის მატჩების ჩატარებას, თუკი იქ გავიდნენ, არ მისცემენ".

მისივე თქმით, უეფას ტურნირებზე გასული გუნდების უმრავლესობა მიხეილ მესხის სახელობის "ლოკომოტივის" სტადიონზე ითამაშებს - თბილისის "დინამო", "ამერი" და "ზესტაფონი". ერთადერთი კლუბი "ოლიმპია", რომელსაც მეტოქის მშობლიურ არენაზე მიღების შანსი გააჩნია.

თუმცა "მესხის" მდგომარეობაც შემაშფოთებელია. როგორც შევიტყვეთ, ჯერ უცნობია, საფარს შეცვლიან თუ არა. ჟორდანიას თქმით, უახლოეს პერიოდში გორის, ზესტაფონისა და ბათუმის სტადიონების ინსპექტირება იგეგმება.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

მერანი

საფუძვლიანი გადახალისება

როგორც რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, "მერანის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ასლან ბალაძე თამაზ კოსტავამ** შეცვალა. დღეს კლუბის კრებაზე კოსტავა ამ თანამდებობაზე ოფიციალურად დაინიშნა. ამას გარდა, საბოლოოდ გადაწყდა მისი ასისტენტების საკითხი. კოსტავას **თენგიზ კაცია, სოსო მალანია** და "მერანის" ძველი მთავარი მწვრთნელი **დავით ეჯიბიშვილი** დაეხმარებიან.

"საკმაოდ ნაყოფიერი შეხვედრა იყო. კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად, სამომავლო გეგმებზე დაწვრილებით ვისაუბრეთ და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერთობლივი მუშაობა შედეგს აუცილებლად გამოიღებს. კლუბს უდავოდ აქვს განვითარების პოტენციალი, "მერანს" მომავალ სეზონში გაცილებით ძლიერი და ბრძოლისუნარიანი გუნდი უნდა ჰყავდეს, მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი", - ამბობს თამაზ კოსტავა.

შეგახსენებთ, გასულ სეზონში იგი "ნორჩ დინამოს" წვრთნიდა, "მერანში" კი ამ ორი კლუბის გაერთიანებისთანავე მივიდა. ისიც გადაწყდა, რომ "ნორჩი დინამო" პირველ ლიგაში ამიერიდან "მერანის" ფარმკლუბის სტატუსით იასპარეზებს და მას ნიჭიერ მოზარდებს მიაწვდის. სავარაუდოდ, პირველი ლიგის გუნდს **ვახტანგ კოპალეიშვილი** უხელმძღვანელებს.

ამასობაში, უკვე ცნობილი გახდა "მერანის" სამი ახალწვეულის ვინაობა. ესენი არიან თავდამსხმელი **დავით სევასტოპულო**, რომელიც წლების განმავლობაში "ამერის" ღირსებას იცავდა, "ზესტაფონიდან" წამოსული ნახევარმცველი **ბექა ნოზაძე** და პირველლიგელი "მეშაქრის" ყოფილი წევრი **ავალიანი**. ეს ახალმოსულთა პირველი ნაკადია, თორემ უახლოეს პერიოდში "მერანი" კიდევ არაერთ მოთამაშეს გაუფორმებს კონტრაქტს. კურსი გაახალგაზრდავებისკენაა აღებული.

დღეს ფეხბურთელებს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდებათ, გუნდი ახალი სეზონისთვის მზადებას ხვალ, თბილისის იპოდრომზე შეუდგება, სადაც ფიზიკურად მოემზადება, რამდენიმე დღეში კი "ნორჩი დინამოელის" აკადემიაში გადაინაცვლებს. ივლისამდე კოსტავა ორმხრივ თამაშებში გასასინჯ ფეხბურთელებს დააკვირდება, ამის შემდეგ კი შერჩეულ კონტინგენტთან ერთად "მერანი" ორ შეკრებას გაივლის – სავარაუდოდ, პირველს კოჯორში, მეორეს კი, შავიზღვისპირეთში.

კლუბი ახალ სეზონში კარდინალურად სახეცვლილი შემადგენლობით ითამაშებს. როგორც შევიტყვეთ, წინა ჩემპიონატის კადრებიდან კლუბმა მხოლოდ თერთმეტი ფეხბურთელი დაიტოვა. კონტრაქტები აღარ გაუგრძელდათ ისეთ გამოცდილ მოთამაშეებს, როგორებიც მაგალითად, **ვალერი გაგუა** და **ამირან კედელაშვილი** არიან.

ლევან ჯანეზაშვილი

ზესტაფონი

საყაზახეთო შემადგენლობა

5 ივნისიდან „ზესტაფონი" ბაკურიანშია და ინტერტოტოს თასის პირველი რაუნდისთვის ემზადება. **თემურ მახარაძის** განკარგულებაში შემდეგი ფეხბურთელები არიან:

მეკარეები: **გრიგოლ ჭანტურია, როინ კვასხვაძე.**

მცველები: **ედიკ საჯაია, შალვა ღონღაძე, სევასტი თოდუა, კახა ჩხეტიანი, როინ ონიანი, ედსონ სანტოსი, გიორგი ხიდეშელი.**

ნახევარმცველები: **გიორგი ჭელიძე, ჟილვან ვიეირა, ჟონატას ტორესი, ნიკოლოზ კვასხვაძე, მურთაზ დაუშვილი, ამირან სანაია, ირაკლი ძარია, ალექსი ბენაშვილი.**

თავდამსმელები: **გოგი ფიფია, გაგა ჩხეტიანი, ბექა გოცირიძე, დავით ჯანელიძე.**

„ზესტაფონი" კუსტანაის „ტობოლს" სტუმრად 23 ივნისს, თბილისის დროით 16 საათზე ეთამაშება, განმეორებითი მატჩი კი 30-ში გაიმართება. გუნდი ყაზახეთში 22 ივნისს გაფრინდება. „ზესტაფონის" მიზანი მაქსიმალურად ბევრი ეტაპის გავლაა.

გაბონელი **პოლ კესანი**, რომელიც აფრიკის თასის შესარჩევი შეხვედრებისთვის თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული, ფეროელებს 18 ივნისს შეუერთდება. იმასაც შეგახსენებთ, რომ „ზესტაფონმა" ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა **ლეანდროს, ბექა ნოზაძესა** და **ზურაბ იონანიძეს.**

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონი

კარლ ცაისმა დაადასტურა: ქართველები მიდიან

გიორგი ლომაია „კარლ ცაისს" რომ ტოვებს, უკვე ვწერდით. ისიც ვიცარაუდეთ, რომ კლუბს მისი თანაგუნდელი **მიხეილ აშვეთიაც** შეიცვლიდა. გუშინ „კარლ ცაისის" ოფიციალურმა ვებგვერდმა ყველაფერი დაადასტურა.

„ორივე ქართველმა ჩვენს გუნდს დიდი სარგებლობა მოუტანა, მათ მეორე ბუნდესლიგაში დარჩენაში დიდი როლი ითამაშეს, მაგრამ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ლომაია და აშვეთია „კარლ ცაისის" წევრები აღარ არიან. ისლა დაგვრჩენია, გიორგისა და მიხეილს ყველაფრისთვის დიდი მადლობა გადავუხადოთ და სამომავლო წარმატებები ვუსურვოთ", - განაცხადა იენელთა სპორტულმა დირექტორმა **ლუტც ლინდემანმა.**

ცნობისათვის, „კარლ ცაისი" კიდევ არაერთმა ფეხბურთელმა დატოვა, კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, მათ პოზიციებზე უფრო ძლიერი შემსრულებლები მოჰყავთ და მომავალ სეზონში რეალურად აპირებენ პირველ ბუნდესლიგაში აღზევებისთვის ბრძოლას.

ლევან ჯანეზაშვილი

ალეინიკოვი ბარაბაძეს: ინტერის დუბლებში გაგსინჯავენ

18 წლის **რეზო ბარაბაძე** დნეპროპეტროვსკის "დნეპრს" დაემშვიდობა და ამტკიცებს, რომ იტალიურ გრანდში, მილანის "ინტერში" გასინჯვის შანსი აქვს:

"საუბარია "ინტერის" დუბლებში გასინჯვაზე. არ ვამტკიცებ, რომ ჩარიცხვაზეა ლაპარაკი და არც იმას, რომ გუნდში მოხვედრის შანსი მაქვს. თუმცა ჩემთვის ესეც დიდი საქმეა. ორი კვირა დამაკვირდებიან და სხვა თუ არაფერი, ამ პერიოდით ასეთ გუნდში ვარჯიში სასიამოვნო მოგონებად დამრჩება. ეს გასინჯვა სერგეი ალეინიკოვის დახმარებით გახდა შესაძლებელი, რომელიც წლების წინ, "იუვენტუსში" თამაშობდა და ჩემი მენეჯერის, ახრიკ ცვეიბას მეგობარია".

რეზომ თავდა გვითხრა, რომ ამჟამად კიდევ ორი წინადადება მიიღო მენეჯერებისგან - "ბაზელი" და "კარლ ცაისი":

"შვეიცარიელებთან ძალიან ახლო ურთიერთობა გააჩნია ლუის ცაკარიასს, რომლის მწვრთნელობის დროსაც "თბილისის" ძირითად შემადგენლობაში გადამიყვანეს. უნდა ჩავიდე და გამსინჯონ. ამ კუთხით ყველაზე საინტერესო ჩემთვის "კარლ ცაისია". არ ვიცი რამდენად მართალია, მაგრამ მენეჯერისგან ვიცი, რომ გერმანელები პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებას აპირებენ. ვნახოთ, თვის ბოლომდე ყველაფერი მეცოდინება. სიმართლე გითხრათ, ყოველ დღე ამაზე ვფიქრობ. "ინტერი" ძალიან დიდი კლუბია, მაგრამ იქ რომ ჩავიდე და დრო დავკარგო, ხომ არ აჯობებს გერმანიაში ან შვეიცარიაში ბედის ცდა? მალე უნდა გადავწყვიტო".

ბარაბაძე ეთანხმება ტოპმიოლერის იმ აზრს, რომ დასავლეთ ევროპაში ფეხბურთელი უფრო იზრდება: *"უკრაინაში ისე არ წამივიდა საქმე, როგორც მე მინდოდა. თუმცა ბევრი რამ შევიძინე. წასვლის დროს შედარებით მოუქნელი ვიყავი და ფიზიკურადაც თავს დღევანდელივით კარგად ვერ ვგრძნობდი. "დნეპრში" ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი და ორმხრივ თამაშებში უკრაინის ნაკრების მცველების, ეზერსკის, რუსოლისა და შერშუნის წინააღმდეგ ვთამაშობდი. ბუნებრივია, ბევრი რამ ვისწავლე. შევეჩვიე სათამაშო დისციპლინას, დიდ დატვირთვებს და წამოსვლის მიუხედავად, ამ გუნდის მადლიერი ვარ. უკრაინაში 17 წლის ბიჭი საქართველოდან წავედი, აქ დარჩენას კი ეს ნაღდად სჯობდა. 22-24 წლის მოთამაშეებისთვის კი იქ წასვლა აღარ ღირს. ალბათ, ტოპმიოლერი მართალია, ევროპაში უფრო გაიზრდება მოთამაშე, ვიდრე რუსეთ-უკრაინაში".*

მერაბ მამულაშვილი

ხაზარი აბრამიძეს არ უშვებს

მოთამაშეთა კონტრაქტების ფალსიფიცირებაში მხილებული აზერბაიჯანის ჩემპიონი "ხაზარი" კვლავ ამტკიცებს, რომ **ვალერი აბრამიძესთან** არა ერთი, არამდე ორი წლით გააფორმა კონტრაქტი.

"საჩემპიონო შემადგენლობიდან გუნდს ვერავინ დატოვებს. ბევრი რამ თურქეთიდან ჩვენი პრეზიდენტის, მაის მანსიმოვის დაბრუნების შემდეგ გაირკვა. მასთან მივაღწიეთ შეთანხმებას, წაყვანი ფეხბურთელების შენარჩუნების შესახებ. მათ უმრავლესობას კი კონტრაქტის ვადა არ დამთავრებია. უბრალოდ, შეთანხმების ზოგიერთი პუნქტი გადასახედი იყო, რადგან რამდენიმესთან კონტრაქტი ოფციონის წესით, ანუ (1+1)-ით გავაფორმეთ. ადგილობრივები დარჩნენ, ახლა ლეგიონერთა საკითხია მოსაგვარებელი. ქართველ მცველ, ვალერი აბრამიძესთან ხელშეკრულების ვადა არ დასრულებულა, ამიტომაც, მისი საკითხი განიხილება" - ეს სიტყვები "ხაზარის" მთავარმა მწვრთნელმა **აგასალიმ მირჯავადოვმა** აზერბაიჯანულ გაზეთ "დეისთან" ბრძანა. მოკლედ, ვალერი აბრამიძის მახაჩყალის "ანჟიში" გადასვლა მოგონილი მიზეზებით ბრკოლდება. ფეხბურთელი აზერბაიჯანში ჩასვლას და ვითარების გარკვევას აპირებს.

მერაბ მამულაშვილი

ქართული ტრიო ჩემპიონია

ლვოვის "კარპატისთან" 3:1 მოგების შემდეგ კიევის "დინამომ" ოფიციალურად გაიფორმა სეზონის "ოქროს დუბლი", მატჩის შემდეგ კი მოეწყო ფეხბურთელთა დაჯილდოება. ოქროს მედლები, კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, შეხვდა ყველა ფეხბურთელს, ვისაც კი ამ სეზონში "დინამოს" მაისურა ერთხელ მაინც მოურგია. ასე რომ, უკრაინის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ქართველებმაც, **ოთარ მარცვალაძემ, დავით იმედაშვილმა** და **კახა ალადაშვილმა**, რომლებიც მთავარ გუნდში ეპიზოდურად თუ ჩნდებოდნენ. "დინამოს" ხელმძღვანელობის არგუმენტი ასეთია - ეს ბიჭები თავს არ ზოგავდნენ კლუბის ვარჯიშებზე და თუ ისინი იშვითად ხვდებოდნენ ძირითად შემადგენლობაში, ეს მხოლოდ მწვრთნელის პრეროგატივა იყო, რომელიც საუკეთესოებს არჩევდა.

გიგიაძე ტავრიაში ბრუნდება?

სიმფეროპოლის "ტავრიის" პრეზიდენტი **სერგეი კუნიცინი** არ მალავს, რომ დაინტერესებულია კლუბში ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი **ვასილ გიგიაძე** დაიბრუნოს. კუნიცინმა შემდეგი განუცხადა უკრაინულ "სპორტ ექსპრესს": *"არ დავმალავ, რომ ერთი თვის წინათ მე და ვასოს სატელეფონო საუბარი გვქონდა, თუმცა ამას ვერ უწოდებ მოლაპარაკებას - ვასო და მე დიდი ხნის მეგობრები ვართ. გიგიაძეს "კრივბასთან" კონტრაქტი დეკემბერში ეწურება, თუმცა ის კრივოიროგულ კლუბში თავისი სტატუსით უკმაყოფილოა და შეიძლება, კლუბი ამ ზაფხულს შეიცვალოს. ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კიდევ დავუკავშირდებით ერთმანეთს. გიგიაძე გამოცდილი ფეხბურთელია, თავის დროზე მას ჩვენი გულშემატკივრები აღმერთებდნენ. თუკი ის გადაწყვეტს ყირიმში დაბრუნებას, ჩვენ მხოლოდ მოხარულები ვიქნებით".*

პროფლიგამ დიაც კომერციული გახადა

უკვე სამი წელია, პროფესიული ფეხბურთის ლიგა საფეხბურთო სეზონს საზეიმო დაჯილდოებით, "დიათი" ამთავრებს.

წელს "დია 2007" კომერციული გახდა. თუკი წინა ორ საღამოს მხოლოდ მინვეული სტუმრები ესწრებოდნენ, წელს უკვე ბილეთებიც გაიყიდება.

დაჯილდოება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება. გამოვლინდება 11 ნომინაციის გამარჯვებული, მათ შორის, საუკეთესო ლეგიონერი და ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელი.

საღამო 19 ივნისს, 19:30 საათზე დაიწყება და როგორც შევიტყვეთ, "დია 2007-ის" პირდაპირ რეპორტაჟს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" გეგმავს.

ბილეთის ფასი პარტერში ათი ლარია, ბალკონზე კი - ხუთი.

მერაბ მამულაშვილი

დელგადო მოამზადებს ფეხბურთელებს არგენტინაში

ედუარდო დელგადომ არგენტინაში მრავალი ფეხბურთელი მოამზადა, მათ შორის, თავისი ვაჟი მატიას დელგადო. მან ასპარეზობა დაიწყო არგენტინის "ნაკარიტა ხუნიორსის" საფეხბურთო კლუბში, ხოლო შემდეგ კარიერა გააგრძელა შვეიცარიის "ბაზელში". გასული წლიდან, მატიას დელგადო ასპარეზობს თურქეთის "ბეშიქთაშში". მას კლუბთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი რამდენიმე მილიონ ამერიკულ დოლარზე.

ამჟამად, ედუარდო დელგადო არგენტინაში ამზადებს თენგიზ სულაქველიძის აკადემიადამთავრებულ ხვიჩა მურღულიასა და ქალაქ რუსთავის საფეხბურთო გუნდ "მამულის" ფეხბურთელ ვასილ აფციაურს.

ამა წლის ივლისიდან, დელგადო საქართველოდან არგენტინაში იწვევს 16-17-18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს (18 კაცამდე). დელგადო ფეხბურთელებს მოამზადებს მაღალ დონეზე, მათ შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს, არგენტინისა და ევროპის საფეხბურთო გუნდებში. აგრეთვე, დელგადოს მიერ მომზადებული ფეხბურთელები შეძლებენ, მაღალ დონეზე ითამაშონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

არგენტინის მხარე ავიაბილეთების, ვიზების, ადგილზე ცხოვრების, ტრანსპორტის, კვებისა და მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის, ფეხბურთელებთან და მათ სპონსორებთან შეხვედრები იწარმოებს მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. 4 (ყოფილი კიროვის ქუჩა), დილის 11 საათიდან 13 საათამდე. ყოველდღე, კვირის გარდა.

საკონტაქტო ტელეფონები: 92 10 60; 8 (99) 23-55-20.

ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან ამა წლის ივლისში.

იჩქარეთ, საბუთების გასაფორმებლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

გაბრიელ მილიტო თითქმის ქალბატონია

რანიერის მარტო მიკოლი და იაკუინტა არ ეყოფა, რიგშია ჰუნტელაარიც. ჯილა იუვეში არ მიდის. მარესკაც ბრუნდება?

გაბრიელ მილიტოს აგენტმა **ედუარდო გამარინკმა** ესპანურ as-ს გაუმხილა, რომ მისი კლიენტი 100 პროცენტით "იუვენტუსში" გადადის. შესაძლო ტრანსფერზე ორიოდ დღის წინათ ჩვენც გაცნობეთ და იქვე დავძინეთ, რომ "სარაგოსა" ტურინელთა შეთავაზებით კმაყოფილი არ იყო. არაგონელებმა "იუვეს" თითქმის ყველა წინადადება უარჰყვეს. თუმცა 12 მილიონი გირვანქა, რაც მხარეებმა ბოლო მოლაპარაკებისას განიხილეს, ეტყობა, უკვე შეთანხმებულია. ამას გარდა, ცნობილი გახდა ისიც, რომ 27 წლის არგენტინელი ცენტრალური მცველი "ბებერ ქალბატონს" ბედს 4 წლით დაუკავშირებს. მეტი დამაჯერებლობისთვის, აგენტის კომენტარს გავეცნოთ:

"გაბრიელმა ესპანურ კლუბში თავისი ციკლი დაასრულა. მას აზრი არ შეუცვლია. ის "სარაგოსას" დატოვებს და "იუვენტუსის" მოთამაშე გახდება. გაგიმხელთ საიდუმლოს და გეტყვით, რომ ამაზე შეთანხმებას ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მივაღწიეთ. დიახ, ჩვენ ადრევე შევთანხმდით იმაზე, რომ "სარაგოსა", პირველ რიგში, ტურინელთა წინადადებას განიხილავდა. სადღაც ერთ კვირაში, ან მაქსიმუმ 10 დღეში, ყველაფერს წერტილს დავუსვამთ და კონტრაქტსაც გავაფორმებთ".

პარალელურად, **კლაუდიო რანიერი** შეტევის ხაზის საქმეებსაც აგვარებს. **ვინჩენცო იაკუინტა** უკვე იუვენტუსელია. მაგრამ ის არ არის **დავიდ ტრეზეგეს** პირდაპირი ალტერნატივა. ტურინელებს ცენტრფორვარდიც დასჭირდებათ. საკმარისი იქნება თუ არ ამ როლში **ფაბრიციო მიკოლი**, რომლის დაბრუნება რანიერიმ კატეგორიულად მოითხოვა, ჯერჯერობით გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში, "სინიორას" თავკაცი უზომოდ კმაყოფილია:

"მიკოლი ის ფორვარდია, რომელიც ჩვენ ძალიან მოგვწონს და რომელსაც მომავალი სეზონისთვის დიდ იმედებს ვუკავშირებთ. პორტუგალიაში გატარებული ორი წელიწადი მას ძალიან დაეხმარა იმ რთული პერიოდის გადალახვაში, როცა ის "იუვენტუსს" არ სჭირდებოდა. მაგრამ ახლა ის ნამდვილად გვჭირდება. ამას გარდა, ჩვენ შევიძინეთ იაკუინტაც. ასე რომ, თავდასხმაში სერიოზული პროგრესი გვაქვს".

მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია, რომ "ქალბატონის" სატრანსფერო ემისრები აიაქსელი **იან კლაას ჰუნტელაარის** ფრონტზეც გააქტიურდებიან. როგორც აპენინური პრესა ამტკიცებს, ჰოლანდიელ გოლეადორს თავადაც სურს კარიერის იტალიაში გაგრძელება.

გაირკვა, რომ "იუვე" **ალბერტო ჯილარდინოს** ყიდვას ვერ ახერხებს. ეს ფეხბურთელიც რანიერის ინტერესში იყო, მაგრამ ჯილა "როსონერიში" რჩება. აი, რას ამბობს მისი აგენტი **კლაუდიო სკლოზა**: *"ჯილარდინო ტურინში არ წავა. თავდაპირველად, "მილანი" მასში 17 მილიონ გირვანქას ითხოვდა, მაგრამ კლუბმა გადაწყვიტა, რომ ალბერტო არ გაყიდოს. ფეხბურთელსა და "მილანს" შორის პატარა გაუგებრობა იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარებულია".*

თუ ასეა, მაშინ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა "ფიორენტინასაც", რომელიც ჯილარდინოში 15 მილიონს იძლეოდა, პლუს ამას, მზად იყო, ოპერაციაში ბულგარელი ფორვარდი **ვალერი ბოჟინოვიც** ("ფიორენტინასა" და "იუვეს" მასზე სანახევრო უფლებები აქვთ) ჩართო და საკუთარი წილიც "მილანისთვის" დაეთმო. მაგრამ ეს გარიგება აღარ შედგება. თუმცა ბოჟინოვი "იუვენტუსს" მაინც დატოვებს. გასულ სეზონში **დიდიე დეშამი** მას ნაკლებად ენდობოდა, ახლაა და, არც რანიერია მისით დაინტერესებული. ბულგარელი უკვე ესაუბრა **ჩეზარე პრანდელის** და გადაწყვიტა, რომ მომავალი სეზონი ფლორენციაში გაატაროს. არაა გამორიცხული, "ქალბატონმა" ბოჟინოვი მთლიანად "ფიორენტინას" გადაულოცოს და ამ ოპერაციაში დაახლოებით 7 მილიონი ევროც გააკეთოს.

გაბრიელ მილიტო

და ბოლო ინფორმაციით, "იუვენტუსში", შეიძლება, **ენცო მარესკაც** დაბრუნდეს. თავის დროზე, ნახევარმცველს ტურინში 4 წელიწადი აქვს გატარებული, ბოლო ორი სეზონი კი "სევილიაში" დაჰყო. როგორც ჩანს, მარესკამ პრიმერა დივიზიონში კარგი სკოლა გაიარა და უკვე მზადაა, "ბიანკონერის" ძირითადში უპრობლემოდ მოხვდეს. რანიერის ის თურმე ძალიან მოსწონს.

ინტერი

მორატი: ტევესი გვინდა, კასანო არა

სუასო გადაწყვეტილია, რეკობა მადრიდისკენ...



კარლოს ტევესი

როგორც იქნა, "ინტერის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** კომენტარი გააჯეთა **კარლოს ტევესთან** დაკავშირებით. ბოლო პერიოდში აქტიურად მუსირებდა ხმები, არგენტინელი ფორვარდის "ნერაძურიში" გადაბარგების თაობაზე. იტალიაში გადასვლა თავად ტევესსაც უნდა და ამას გუშინდელ ნომერში ვწერდით კიდეც. ითქვა ისიც, რომ მოთამაშის აგენტი უკვე ესაუბრა "ინტერის" წარმომადგენლებს და თითქოს კონტრაქტის ცალკეული დეტალებიც შეათანხმა, გარიგების სრულყოფა კი მომავალი კვირისთვის იგეგმება. აი, რა თქვა მორატიმ: *"დიახ, მართალია. ტევესი ძალიან მოგვწონს და გვინდა, რომ ჩვენთან გადმოვიდეს. ეს დიდი გარიგება იქნება. არგენტინელი მაღალი კლასის ფორვარდია, ამავე დროს, განონასნორებული ხასიათიც აქვს. ანუ, ეს არის ის, რაც ჩვენ გვჭირდება".*

შეგახსენებთ, რომ ტევესი ამჟამად "ვესტ ჰემში" ირიცხება და მის სატრანსფერო უფლებებს განკარგავს ცნობილი კომპანია MSI, რომელსაც შეუძლია, ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი თუნდაც 100 ათასი გირვანქის სანაცვლოდ განყვიტოს. მოსალოდნელია, რომ ტევესი **ადრიანოს** პირდაპირი ალტერნატივა იქნება. მიმომხილველთა თქმით, ადრიანოს ინტერული მომავალი მეტისმეტად მყიფეა. უეჭველია, რომ მორატი ამატომაც ამახვილებს ყურადღებას ტევესის სახასიათო მონაცემებზე. ერთი სიტყვით, "ინტერს" სჭირდება ფეხბურთელი, რომელსაც დისციპლინის მხრივ პრობლემები არ ექნება.

რა ხდება **ანტონიო კასანოსთან** დაკავშირებით? ბოლო პერიოდში ის ყველას მიავიწყდა. და აი, გუშინ იტალიურ პრესაში გავრცელდა მორიგი სპეკულაცია, ადრიანოსა და კასანოს შესაძლო გაცვლის თაობაზე. მაგრამ ვეჭვობთ, ეს გარიგება შედგეს, რადგან თუკი "ნერაძური" პრიორიტეტად დისციპლინას მიიჩნევს, წესით, ამ ჭირვეული ბიჭით თავი არ უნდა აიტკიოს: *"არა, კასანო არ გვაინტერესებს, ჩვენ დავიდ სუასო გვირჩევნია. ამ ფეხბურთელის ტრანსფერზე მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და იმედი მაქვს, ამ დღეებში ყველაფერი კარგად დასრულდება"* - დასძენს მორატი.

დაახლოებით იმავეს წერს "ჩენელიც" - **დავიდ სუასოსთან** დაკავშირებით, თითქმის ყველაფერი მოგვარებულიაო. ეს "თითქმის" კი ისაა, რომ საჭიროა დასკვნითი შეხვედრა მორატისა და მის კალიარელ კოლეგა და სეხნია **მასიმო ჩელინოს** შორის. ჰონდურასელ ფორვარდში "ინტერი" 6.5 მილიონ გირვანქას იხდის და ზედაც 19 წლის თავდამსხმელ **რობერტ აკვაფრესკას** (ეს სეზონი არენდით "ტრევიზოში" გაატარა) ამატებს. სხვათა შორის, ამ ფეხბურთელით ძლიერაა დაინტერესებული სარდინიელთა მწვრთნელი **მარკო ჯამპაოლო**. "ინტერმა" მიზანში მოარტყა. უდავოდ წარმატებული ოპერაციაა.

დაბოლოს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ **ალვარო რეკობა**, შეიძლება, მადრიდის "ატლეტიკოში" გადავიდეს. 31 წლის ურუგვაელს "ინტერთან" კონტრაქტი მომავალ წელს ეწურება, მაგრამ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, **რობერტო მანჩინისთან** აღარ ითანამშრომლოს. ამ მწვრთნელის ხელში "ელ ჩინოს" თამაში იშვიათად უწევს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, რეკობას პირობა მიუცია მორატისთვის, რომ სხვა იტალიურ კლუბში არ გადავა. მას "ტორინო" და "სამპდორია" ეპატიჟებოდნენ. ახლა კი ირკვევა, რომ ურუგვაელის გზა მადრიდისკენ მიდის. "ატლეტიკო" ფეხბურთელს 2-წლიან კონტრაქტს უმზადებს. ფინანსურ დეტალებზე ჯერჯერობით, არაფერს ამბობენ.

არსენალი. ტრანსფერები

ტრეზეგე ანრის გასამხნევებლად

მეთოფეების კაპიტანი ფრანს ფუტბოლს სასამართლოში უჩივლებს...

"არსენალმა" გადაწყვიტა, წერტილი დაუსვას სპეკულაციებს **ტიერი ანრის** მოსალოდნელი აბარგების შესახებ. "სანის" ცნობით, "მეთოფეები" მის საუკეთესო მეგობარს **დავიდ ტრეზეგეს** იყიდიან. ტრეზეგემ ახალ ტურინულ კონტრაქტზე უარი თქვა. ლონდონელებს მისი შეძენა 5 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. დავიდმა იტალიაში შვიდი წელიწადი გაატარა. მისი მონაგარი შთამბეჭდავია: საშუალოდ 20 გოლი ერთ სეზონში. ტრეზეგე 29 წლისაა. ის მინიმუმ სამწლიან კონტრაქტსა და კვირაში 90 ათას გირვანქას ითხოვს. **არსენ ვენგერი** ამ ასაკის ფეხბურთელებს არ ყიდულობს ხოლმე, მაგრამ დღეს სხვა რეალობაა. მოსიე არსენმა ანრი უნდა შეინარჩუნოს. გამონაკლისის სახით, საკუთარ პრინციპებზე თვალის დახუჭვაც შეიძლება. დავიდმა იტალიელ მიმომხილველებს აუწყა, რომ "იუვეს" მაისურით აღარასოდეს ითამაშებს. მის ხელშეკრულებაში ერთი წელი რჩება. სწორედ რომ შესაფერისი დროა ახალი სამსახურის მოსაძებნად: *"ეს კლუბი საერთოდ არ მაფასებს. ამის თქმის საფუძველს ის კონტრაქტი მაძლევს, რომელიც შემომთავაზეს. რა გაეწყობა? ჩემოდნებს ჩავალაგებ და წავალ."*

რაც შეეხება ანრის, "არსენალის" კაპიტანი სასამართლოში საჩივლელად ემზადება. ის "ფრანს ფუტბოლის" რედაქციისგან ბოდიშის მოხდასა და მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს. მიზეზი ორი დღის წინათ გამოქვეყნებული სტატიაა. ავტორიტეტული ჟურნალი იუწყებოდა, რომ ტიერომ "ბარსელონასთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. დასახელებული იყო სატრანსფერო თანხაც: 37 მილიონი გირვანქა. ამ ცნობამ "არსენალის" ქომაგები შოკში ჩააგდო.

დავიდ ტრეზეგე და ტიერი ანრი

საა ნოემბრამდე ვერ ითამაშებს

ლუის საას მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. ფრანგი თავდამსხმელი ხანგრძლივ იძულებით შვებულებაში გავიდა. მისმა აგენტმა **რანკო სტოიჩმა** მიმომხილველებს განუცხადა: *"არ ვიცი, როდის განაახლებს ვარჯიშს. სავარაუდოდ, ეს ნოემბერ-დეკემბერში მოხდება."* სერ ალექს ფერგიუსონი საას შემცვლელს ეძებს. ამბობდნენ, რომ მანჩესტერში ლუისის დღეები დათვლილი იყო, მაგრამ დაშავებულ მოთამაშეს არავინ შეიძენს. "ეშმაკები" კომპენსაციას ვერ მიიღებენ. ფორვარდის შეძენა კი მაინც მოუხდებათ. სასურველი ფეხბურთელების შესახებ გუშინ ვისაუბრეთ. ფერგი **დიმიტარ ბერბატოვზე, ნიკოლა ანელკასა** და **ფერნანდო ტორესზე** ფიქრობს. თავდასხმის გაძლიერებას ემსახურებოდა პორტუგალიელი გარემარბის ნანის შეძენაც. მის გარდა კონტრაქტები გაუფორმეს ფლეიმეიქერ **ანდერსონსა** და საყრდენ ნახევარმცველ **ოუენ ჰარგრივსს**. ეს ტრანსფერები "მანჩესტერს" 48 მილიონი გირვანქა დაუჯდა. ჯერ კიდევ გაურკვეველია ალან სმიტის ბედი. "ლიდსის" ყოფილ ფორვარდს ტრანსფერზე დაყენებას უპირებენ.

გალათასარაი ლინდეროტით გაძლიერდა

შვედმა ნახევარმცველმა **ტობიას ლინდეროტმა** "გალათასარაისთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 28 წლის ფეხბურთელმა სამი წელიწადი დანიურ "კოპენჰაგენში" გაატარა, 127 მატჩი ჩაატარა და ექვსი გოლი შეაგდო. იქამდე ლინდეროტი "ევერტონში" ასპარეზობდა. მისი დანიური კონტრაქტი გაისად იწურებოდა, ამიტომ მორიგ გაჩერებად სტამბოლი აირჩია. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. ევროპულ სატრანსფერო ბაზარზე თურქული გრანდების აქტიურობა გრძელდება.

LG ფულჰემს მოურიგდა

კორეული კომპანია LG "ფულჰემის" სპონსორი გახდა. მხარეებმა სამწლიანი კონტრაქტი "ჰეროდსის" სახელგანთქმულ მაღაზიაში გააფორმეს. მოგეხსენებათ, "ჰეროდსი" და ლონდონური კლუბი **მოჰამედ ალ ფაიედის** საკუთრებაა. LG ბრიტანულ ბაზარზე პოზიციების განმტკიცებას ცდილობს. შარშან ინგლისში, უელსსა და შოტლანდიაში ამ კომპანიის ყოველთვიურმა გაყიდვებმა 100 მილიონ გირვანქას გადააჭარბა. "ფულჰემის" მაისურებზე კორეელთა რეკლამა გამოჩნდება. იმასაც შეგახსენებთ, რომ მეორე კორეული გიგანტი სამსუნგი ორი წელიწადია, მეორე ლონდონური კლუბის, "ჩელსის" მაისურის სპონსორი გახლავთ. გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

ინგლისური ტრანსფერების პირველი მსხვერპლი

ინგლისში უკანონო ტრანსფერებთან დაკავშირებით პირველი ადამიანი დააპატიმრეს. 61 მამაკაცს ფულის გათეთრებაში დასდეს ბრალი და საპყრობილეში გადაიყვანეს. ლონდონის პოლიცია ეჭვმიტანილის ვინაობას არ ახმაურებს. **ლორდი სტივენსის** კომისია კი საქმიანობას განაგრძობს და კიდევ რამდენიმე მოქალაქის დაკავებას გეგმავს. ხსენებული კომისია 2004 წლის იანვრიდან 2006 წლის იანვრამდე განხორციელებულ 362 ტრანსფერს იძიებს. გამოძიების მსვლელობისას 29 კლუბის წარმომადგენელი და ათეულობით აგენტი დაკითხეს. მარტში, ლორდმა სტივენსმა გამოაქვეყნა პირველი მოხსენება, რომელშიც კანონდარღვევით განხორციელებულ 50 ტრანსფერზე იყო საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული. ტრანსფერები

ისევ ტორესი

კრაუჩი ძირითადში თამაშს ითხოვს, ბარსელონელი თინეიჯერი ენფილდს მიაშურებს?

ინგლისის საუკეთესო კლუბები **ფერნანდო ტორესის** ტრანსფერისათვის რიგში ჩადგნენ. "მანჩესტერ იუნაიტედი", "ლივერპული", "ჩელსი" და "არსენალი" ესპანელ თავდამსხმელს აკვირდებიან. ამათგან ყველაზე მეტად "ლივერპული" აქტიურობს. **რაფა ბენიტესს** შედეგიანი ფორვარდი სჭირდება. მადრიდის "ატლეტიკო" უეფას თასის გარეშე დარჩა. ესპანელები სოლიდურ შემოსავალს ვერ მიიღებენ. ამიტომ სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, ტორესს დაუფიქრებლად გაყიდიან. მიმომხილველთა ვარაუდით, დაინტერესებულ კლუბს 20 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს. 23 წლის ტორესს პრიმერა დივიზიონში 212 მატჩი აქვს ჩატარებული. მის ანგარიშზე 82 გოლია. არცთუ ისე შთამბეჭდავია მისი სანაკრებო მონაგარი: 42 მატჩი და 14 გოლი.

პიტერ კრაუჩმა მომავალი სეზონიდან მუდმივად ძირითადში თამაში ითხოვა. პიტერს შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა. ყველა ტურნირზე გატანილი 24 გოლით ის მერსისაიდელთა საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მაგრამ მწვრთნელი ხშირად სკამზე ამწესებს. პიტერს სურს, რომ ვითარება კარდინალურად შეიცვალოს: *"ფეხბურთელს ყოველთვის მინდორზე ყოფნა სურს. არც მე გახლავართ გამონაკლისი, თუმცა მესმის, რომ როცა კლუბი სეზონის განმავლობაში 70 მატჩს თამაშობს, ყოველთვის შემადგენლობაში ვერ იქნები."*

და კიდევ, ბენიტესმა მორიგ ესპანელს დაადგა თვალი. მან "ბარსელონის" მეორე გუნდის გარემარბი **მარკ კროსასი** მოისურვა. 18 წლის ყმაწვილს საიჯარო ხელშეკრულებას სთავაზობენ, იმ იმედით, რომ გაისად მერსისაიდელთა საკუთრება



ფერნანდო ტორესი

გახდება და ხანგრძლივ კონტრაქტს გააფორმებს. სენიორ ბენიტესს, როგორ ჩანს, **სიმაო საბროსას** ტრანსფერზე უარის თქმა მოუწევს. "ბენფიკა" 12 მილიონ გირვანქას არ აკლებს. ლისაბონელთა პრეზიდენტი **ლუიშ ფელიპე ვიეირა** ამბობს, რომ ფეხბურთელის გაყიდვა არ სურს და მას მხოლოდ მეტისმეტად მაღალი ფასის სანაცვლოდ შეელევა.

სანდერლენდი

ალან სმიტი სანდერლენდში?

ალან სმიტი "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობას მისი მომავლის გარკვევას სთხოვს. 26 წლის თავდამსხმელისათვის ჯერ არავის უთქვამს, რომ ზედმეტია. ბრიტანული გაზეთები კი ერთთავად მის ტრანსფერს წინასწარმეტყველებენ: *"თუ მათ ჩემი გაყიდვა სურთ, მინდა, რომ ეს ვიცოდე. იმედია, მწვრთნელთან შეხვედრის საშუალება მომეცემა. როცა საჭირო აღარ ხარ, ახალი სამსახური უნდა მოძებნო და ყველა საინტერესო შეთავაზება განიხილო. იმედია, მოსამზადებელი ეტაპის დაწყებამდე ყველაფერი გაირკვევა."*

სმიტს ერთი მთხოვნელი უკვე ჰყავს. მისი შეძენა "სანდერლენდის" თავკაცმა **როი კინმა** მოისურვა. ირლანდიელი მწვრთნელი 7 მილიონ გირვანქას ამზადებს. მას ალანთან საუცხოო ურთიერთობა აკავშირებს. როი იმედოვნებს, რომ ურთიერთსიმპათია შეთანხმებას საგრძნობლად გააადვილებს. სპეკულაციების თანახმად, ალანის შეძენა "ტოტენჰემს", "ევერტონსა" და "ასტონ ვილასაც" სურთ, თუმცა მათ კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

აქვე გეტყვით, რომ კინი კიდევ ერთი თავდამსხმელის ტრანსფერზე მუშაობს. საუბარია პრესტონელ **დევიდ ნაჯენტზე**, რომელიც 22 წლისაა და ქვედი დივიზიონში ყოფნის მიუხედავად, ორჯერ ინგლისის ნაკრებში უხმეს (ერთი გოლი). ნაჯენტი 6 მილიონი გირვანქა ღირს. ის ლივერპულშია დაბადებული. რა გასაკვირია, რომ მისი საყვარელი კლუბიც "ლივერპული" გახლავთ. ფორვარდის გაყიდვის შემთხვევაში, "პრესტონს" თანხის გაყოფა ნაჯენტის ყოფილ კლუბ "ბერისათვის" მოუწევს.

სკანდალი

ნოირურერი: ფეხბურთელები დოპინგს იღებდნენ

მწვრთნელი ამბობს, 80-იანი წლების ბოლოს ყოველი მეორე ფეხბურთელი აკრძალულ პრეპარატს ხმარობდაო...

"შპორტ ბილდის" ახალ ნომერში გერმანელი მწვრთნელის, **პეტერ ნოირურერის** ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც 52 წლის სპეციალისტი სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. ნოირურერი ამბობს, რომ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში, გერმანიაში ყოველი მეორე ფეხბურთელი დოპინგის აქტიური მომხმარებელი იყო. იმ დროს ეს სპეციალისტი "შალკეს" მწვრთნელი გახლდათ მეორე ბუნდესლიგაში. ნოირურერი პირველია, ვინც ამ ტაბუდადებულ თემაზე გულახდილად ალაპარაკდა.

"მოთამაშეების 50 პროცენტი კაპტაგონით სარგებლობდა, ეს კი, მოგეხსენებათ, აკრძალული პრეპარატია, რომელიც დოპინგის სიაში შედის. ფეხბურთელები ამ პრეპარატზე გიჟდებოდნენ. ნებისმიერ მათგანს დოპინგის ქვეშ ყოფნა ძალიან იოლად ეტყობოდა - თვალები სხვანაირი უხდებოდა, 90 წუთის განმავლობაში არ იღლებოდა და მატჩის ბოლო წუთებზე ისეთ რაღაცებს აკეთებდა, რასაც დოპინგის გარეშე უბრალოდ ვერ შეძლებდა. ეს ნამდვილი საგიჟეთი იყო. მთავარი ისაა, რომ კაპტაგონი მთელ გერმანიაში იხმარებოდა," - აცხადებს ნოირურერი ხსენებულ ინტერვიუში. კონკრეტულ გვარებს არ ასახელებს, მაგრამ ამბობს, რომ დოპინგს პირველი ბუნდესლიგისა და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებიც ხმარობდნენ.

ასე რომ, გამორიცხული არ არის, ფეხბურთშიც ისეთივე სკანდალი ატყდეს, როგორც ველოსპორტში. ნოირურერი: *"ხხვა სახეობებსაც იღებდნენ, მაგალითად, ეფედრინს, რომლის მოხმარება ველომრბოლებმაც აღიარეს. ეს ასთმის საწინააღმდეგო პრეპარატია. მახსოვს, ფეხბურთელების 80-მა პროცენტმა ასთმიანობა დაიბრალა, რათა ეს პრეპარატი მიეღო."*

ეს არის პირველი შემთხვევა, როცა გერმანულ ფეხბურთში დოპინგის მიღებაზე ალაპარაკდნენ, რასაც, შესაძლოა, სერიოზული სკანდალი მოჰყვეს. 1988 წლის შემდეგ გერმანიაში დოპინგკონტროლი გაძლიერებულია - ყოველი მატჩის შემდეგ დოპინგტესტს ორი ფეხბურთელი გადის. ერთადერთი მოთამაშე, რომელსაც ამ ხნის მანძილზე აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს, "მიუნხენ 1860-ის" მოთამაშე **ნემანია ვუჩიჩევიჩი** გახლდათ, რომელმაც 2005 წელს ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

ნოირურერის განცხადება **იენს ლემანმაც** დაადასტურა, ფეხბურთელმა, რომელიც ნოირურერის "შალკეში" მუშაობის დროს ამ გუნდის მეკარე იყო. *"დიახ, მეც ვიცი, რომ დიდი ამბები ხდებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დღეს დოპინგს არავინ იღებს,"* - აცხადებს ლემანი.

ალიადიერი და თუნჯაი მიდლსბროში

ჟერემი ალიადიერი "მიდლსბროში" გადავიდა. ის "ნიუკასლში" წასული **მარკ ვიდუკას** ადგილს დაიკავებს. 24 წლის თავდამსხმელმა "არსენალში" რვა სეზონი გაატარა, მაგრამ ძირითადში დამკვიდრება ვერ შეძლო. მან იჯარით რამდენიმე კლუბი მოიარა – "ვესტ ჰემი", "სელტიკი" და "ვულვერჰემპტონი". ამიერიდან ის რივერსაიდზე ითამაშებს. კონტრაქტის ხანგრძლივობა და ფინანსური დეტალები უცნობია.

"ბოროს" თავკაც **გარეთ საუთგეიტს** კიდევ ერთი თავდამსხმელის შეძენა სურს. მან თურქეთის ნაკრებისა და "ფენერბაჰჩეს" ვარსკვლავ **თუნჯაი სანლის** დაადგა თვალი. 25 წლის ფორვარდი ეროვნული გუნდის საკვანძო ფეხბურთელია. მის ანგარიშზეა 43 სანაკრებო მატჩი და 13 გოლი. თუნჯაი ინგლისში მომავალ უქმეებზე ჩავა და სამედიცინო შემონმებას გაივლის.

"რივერსაიდიდან" აბარგება გადაწყვიტა ავსტრალიელმა მეკარე **მარკ შვარცერმა**. 34 წლის ვეტერანი შვებულებას მშობლიურ მელბურნში ატარებს და ჟურნალისტებსაც იქ შეხვდა: *"იმედგაცრუებული ვარ, რომ ვიდუკა გაუშვეს. კლუბმა მოლაპარაკებების დაწყება ძალიან გააჭიანურა. ამიტომ მარკის წასვლა მოსალოდნელი იყო. მალე გადავწყვეტ, შევიცვლი თუ არა სამსახურს."*

ბარტეზი მექსიკაში? აგენტი უარყოფს

ფაბიენ ბარტეზის აგენტი კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, თითქოს მისი კლიენტი მექსიკაში გამგზავრებას გეგმავდეს. რამდენიმე დღის წინათ ადგილობრივი "ნეკაქსის" პრეზიდენტმა **ხავიერ პერეს ტეუფერმა** თქვა, რომ 35 წლის ვეტერანთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა. **ჟან მარი კანტონამ** სენიორ ტეუფერის განცხადებას სიცრუე უწოდა და თქვა, რომ ეს ვარიანტი არცკი განხილულა. ბარტეზმა კიდევ ერთხელ გამოაცხადა ფეხბურთიდან წასვლის შესახებ. ის პენსიაში გასულ ზაფხულსაც გავიდა, დეკემბერში "ნანტის" შეთავაზებას დათანხმდა, მაგრამ იადონები ქვედა დივიზიონში დაქვეითებისაგან ვერ ისხნა. უფრო მეტიც, მან "ნანტი" სკანდალურად დატოვა.

ქველმოქმედება ინგლისის ნაკრების სახელით

ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს, ნაკრებში გამომუშავებული ხელფასები საქველმოქმედო ფონდებს გადაურიცხონ. კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** განაცხადა, რომ ფეხბურთელებისათვის ქველმოქმედება უცხო არ არის, მაგრამ პირველად ხდება, როცა ეროვნული გუნდის ვარსკვლავები კეთილ საქმეს საერთო ძალისხმევით შეუდგებიან. ერთ-ერთი პირველი, რომელიც ნაკრებისაგან სოლიდურ დახმარებას მიიღებს, **სერ ბობი მურის** სახელობის ონკოლოგიურ დაავადებათა კვლევის ფონდია. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონების კაპიტანი 1993 წელს სიმსივნისაგან გარდაიცვალა.

ტიაგო 18 მილიონად

"ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** პორტუგალიელი **ტიაგო მენდეშის** ფასი გამოაცხადა: საფრანგეთის ჩემპიონები მას მხოლოდ 18 მილიონ ევროდ გაყიდიან. ტიაგოს "იუვენტუსი" და "მანჩესტერ იუნაიტედი" აკვირდებოდნენ. იმის გამო, რომ "ეშმაკებმა" **ოუენ ჰარგრივსი** შეიძინეს, ტიაგოს მიმართ ინტერესი გაუნელდათ. "იუვენტუსს" კი მისი ხელში ჩაგდება ჯერ კიდევ სურს. ფრანგები მაღალ ფასს იმის იმედით ითხოვენ, რომ "ქალბატონი" ფეხბურთელზე უარს იტყვის. "ლიონის" ახალ ბოს **ალენ პერენს** ტიაგოს შენარჩუნება სურს.

კოვაჩები ზაგრებში ბრუნდებიან

რობერტ და **ნიკო კოვაჩები** სამშობლოში ბრუნდებიან. 33 წლის რობერტი "იუვენტუსს" ეთხოვება და ზაგრების "დინამოსთან" აფორმებს კონტრაქტს. მომდევნო სამი წლის განმავლობაში მას 6 მილიონ ევროს გადაუხდიან. რაც შეეხება ნიკოს, 35 წლის ნახევარმცველი "ზალცბურგში" თამაშობს. მისი კონტრაქტი გაისად იწურება. "დინამოს" გარდა, მისი შეძენა სპლიტის "ჰაიდუკსაც" სურს.

ახალი გენერალური მდივანი ფიფას

ფიფას გენერალურმა მდივანმა **ურს ლინსიმ** თანამდებობა დატოვა. ის მსოფლიოს ფეხბურთის მმართველ ორგანოში 2002 წელს, **მიშელ ცენ-რუფინენს** ნაცვლად მივიდა. ამ უკანასკნელმა პრეზიდენტ **ზეპ ბლატერს** კორუფციაში დასდო ბრალი და სკანდალით წავიდა. ლინსის ადგილს ფიფას ფინანსებისა და კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **მარკუს კუტნერი** დაიკავებს. ის ბლატერის მესამე გენერალური მდივანი იქნება. შეგახსენებთ, მისტერ იოზეპი პრეზიდენტად 1998 წელს აირჩიეს. იქამდე კი 17 წლის განმავლობაში თავად მუშაობა გენერალურ მდივნად **ჟოაო აველანჟის** ადმინისტრაციაში.

ლაქშმი მიტალი და მისი ვაჟი ადიტია

ტაილანდის ყოფილი პრემიერ **ტაქსინ შინავატრა** "მანჩესტერ სიტიში" 120 მილიონ გირვანქა იხდის. "სიტის" თავმჯდომარე **ჯონ უორდლი** ოფიციალურ შეთავაზებას უახლოესი 72 საათის განმავლობაში მიიღებს. გარიგების შემთხვევაში, შინავატრა აღმასრულებელ დირექტორად **ალისტერ მაკინტოშს** დატოვებს. სამაგიეროდ, დირექტორთა საბჭოში მისი ნდობით აღჭურვილ პირებს დანიშნავს. ახალი ადმინისტრაციის უმთავრესი საზრუნავი მწვრთნელის დანიშვნა იქნება. **სტიუარტ პირსის** დათხოვნის შემდეგ გუნდს დამრიგებელი არ ჰყავს. საპატიო პოსტზე "ლივერპულისა" და "ლიონის" ყოფილი დამრიგებლის **ჟერარ ულიეს**, "სევილიის" თავკაც **ხუანდე**

პრემიერლიგა

ვაჭრობა გრძელდება

ინვესტორებმა მანჩესტერ სიტი, ბლექბერნი და ბირმინგემი მოისურვეს...

რამოსისა და "ალკმაარისა" და "აიაქსის" ყოფილი ბოსის **კო ადრიაანსეს** კანდიდატურები განიხილება. შინავატრა ახალ მწვრთნელს შემადგენლობის გასაძლიერებლად 50 მილიონ გირვანქას გამოუყოფს. მხოლოდ ძლიერი ფეხბურთელების ტრანსფერებით შეიძლება მაყურებლის სტადიონისაკენ შემობრუნება. გასულ სეზონში "სიტიმ" საშინაო მატჩების უმრავლესობა სანახევროდ ცარიელ "ისტლენდზე" ჩაატარა. კლუბმა მხოლოდ 28 ათასი აბონემენტი გაყიდა, იმ დროს, როცა მანჩესტერელთა საუცხოო არენა 52 ათას მაყურებელს იტევს.

პრემიერლიგით უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას ბოლო არ უჩანს. გუშინდელი "სანი" "ბლექბერნის" შესაძლო გაყიდვის ამბავს გვაუწყებს. კლუბის თავმჯდომარე **ჯონ ვილიამსი** ადასტურებს, რომ ამერიკულ მხარესთან მოლაპარაკებები რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს. მხარეებმა გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს, თუმცა მთელი რიგი ფორმალობები ისევ მოსაგვარებელი რჩება. ვილიამსი და მისი ბანაკი კლუბის გაყიდვაზე თანახმაა. გარიგების შემთხვევაში, "ბლექბერნი" მეოთხე ინგლისური კლუბი გახდება, რომელსაც ამერიკელები შეიძენენ "მანჩესტერ იუნაიტედის", "ლივერპულისა" და "ასტონ ვილის" შემდეგ.

მყიდველი გამოუჩნდა პრემიერლიგაში აღზევებულ "ბირმინგემ სიტისაც". მისი შეძენა მსოფლიოში მეხუთე უმდიდრეს ადამიანს, მეტალურგიის მაგნატ **ლაქშმი მიტალს** სურს. ინდოელი ბიზნესმენის ქონება 19.25 მილიარდ გირვანქას შეადგენს. ეს **რომან აბრამოვიჩის** ქონებაზე თითქმის ერთნახევარჯერ მეტია. მიტალი დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს და ბიზნესიმპერიას ლონდონიდან უძღვება. ბირმინგემულ კლუბს დღესაც მდიდარი ბოსები ჰყავს. **დევიდ სალივანი** და **დევიდ გოლდი** ბრიტანეთის უმდიდრესი მოქალაქეების ათეულში იმყოფებიან, მაგრამ როგორც ჩანს, მიტალის სარფიან შეთავაზებას სიამოვნებით დათანხმდებიან. მოსალოდნელი გარიგების დეტალები არ ხმაურდება. "სანმა" საკუთარი არხებით დაადგინა, რომ საუბარი დაახლოებით 70 მილიონ გირვანქას ეხება. სულ მალე პრემიერლიგაში სავაჭრო შეიძლება აღარაფერი დარჩეს, რადგან უკლებლივ ყველა კლუბს უმდიდრესი მეპატრონე ეყოლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლ ჰაინც რუმენიგე, კლაუს ალოფსი და ორად გახლეჩილი კლოზე

მოსალოდნელი ტრანსფერი

ვერდერის ულტიმატუმი ბაიერნს

მოგვეცით პოლდი, თორემ კლოზეს ვერ წაიყვანთ

"ვერდერის" გენერალურ მენეჯერ **კლაუს ალოფსს მიროსლავ კლოზეს** გარშემო შექმნილი დავიდარაბა და მუდმივი დისკუსიები მობეზრდა. სწორედ ამიტომ, გუშინ მან "ბაიერნთან" მოლაპარაკებები დასრულებულად გამოაცხადა. *"ბოლო ორი კვირის განმავლობაში მიუნხენური კლუბის შეფები აღარ შეგვხმიანებიან, რის გამოც მივიჩნევ, რომ მოლაპარაკებები დასრულებულია, კონსენსუსს ვერ მივაღწიეთ. კლოზე "ვერდერში" რჩება. 2 ივლისს გუნდი შეკრებას დაიწყებს და პირველ ვარჯიშზე მიროსაც ველით,"* - განუცხადა ალოფსმა "შპორტ-ბილდს". მართალია, "მუსიკოსთა" დამრიგებელი მოლაპარაკებებს დასრულებულად აცხადებს, მაგრამ ფაქტია, რომ ამით ჯერ არაფერი დამთავრებულა, რადგან "ბაიერნს" კლოზეს გადაბირება ახლავე უნდა.

როგორც იცით, მიუნხენელებმა "ვერდერს" 2 კვირის წინათ კლოზეს სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო შესთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს. საპასუხოდ, "ვერდერმა" "ბაიერნს" მიროს **ლუკას პოდოლსკიში** გაცვლის პირობა წამოუყენა. ეს ვარიანტი კი უკვე ბავარიელებს არ აწყობდათ. შესაბამისად, მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მას მერე ორი კვირა გავიდა და ამ ხნის განმავლობაში მიუნხენური გიგანტის ბოსები ბრემენელ კოლეგებს აღარ შეხმიანებიან. როგორც ჩანს, მათ იმედი ჰქონდათ, რომ "ვერდერი" დანებდებოდა. გუშინდელ ნომერში რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც კალე შემდეგს ამბობდა: *"ვერდერი" ვერ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ ფეხბურთელი, რომელსაც გუნდის დატოვება უნდა, კიდევ ერთი წლით შეინარჩუნოს და მერე უფასოდ გაუშვას."*

რუმენიგეს ამ განცხადებამ "ვერდერის" შეფების აღშფოთება გამოიწვია. აი, რას ამბობს ბრემენული კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **იურგენ ბორნი**: *"ბაიერნს" პოდოლსკის გაშვება არ უნდოდა, ჩვენ კლოზეს გასხვისებაზე ვიყავით უარს. თუ მიუნხენელები ფიქრობენ, რომ ჩვენ დღესაც ისე იოლად დავნებდებით, როგორც ადრე ვნებდებოდით, ძალიან ცდებიან. "ვერდერს" ისეთი დრო დაუდგა, რომ სულაც აღარაა იძულებული, ყოველი სეზონის შემდეგ წამყვანი ფეხბურთელი გაყიდოს."*

მოკლედ, "ვერდერი" "ბაიერნს" ულტიმატუმს უყენებს: ან მიუნხენელები კლოზეს პოდოლსკიში გაცვლას დათანხმდებიან, თუ არა და, ბრემენული კლუბი მიროს გაყიდვაზე უარს იტყვის. გამოსავალია ისიც, რომ მიუნხენურმა გიგანტმა "მუსიკოსებს" არა 10, არამედ 15 მილიონი ევრო შესთავაზოს. *"ტონისა და რიბერის შემთხვევაში ვაჭრობა არ დაუწყიათ, ერთში 11 მილიონი გადაიხადეს, მეორეში 25. კლოზეს ხელში ჩაგდება კი იაფად უნდათ. მინდა ვთქვა, რომ "ბაიერნი" "ვერდერს" ვეღარ დაჩაგრავს!"* - ამბობს ალოფსი და იქვე ამატებს, - *"მიროსა და პოლდის გაცვლა საკმაოდ რეალური ვარიანტი იყო, მაგრამ მიუნხენელებმა ამაზე უარი თქვეს."*

თუკი კლოზე ბრემენში დარჩება, საინტერესოა, დაიხარჯება თუ არა ბოლომდე. ბრემენელთა ბოსი ბორნი გამორიცხავს იმას, რომ კლოზემ მთელი ძალით არ ითამაშოს, რადგან მომავალი სეზონის შემდეგ ევროპის ჩემპიონატია, რომელსაც მირო აუცილებლად კარგ ფორმაში მყოფი უნდა შეხვდეს. ბავარიელები თავს იმით იმშვიდებენ, რომ ახლა თუ არა, კლოზე მიუნხენში გაისად გადავა, თანაც უფასოდ. მაგრამ გამორიცხული არაა, რომ მომავალი სეზონის შემდეგ მიროს ახალი მთხოვნელები გამოუჩნდნენ (მით უმეტეს, რომ უფასო იქნება) - ხომ იცით, მისით "ლიონია" დაინტერესებული. უფრო ადრე კი, კლოზეს გადაბირება "იუვენტუსსა" და "ბარსელონას" უნდოდათ. უბრალოდ, ვერც ტურინულმა და ვერც კატალონიურმა გრანდმა, კლოზეში დიდი ფულის გადახდა ვეღარ გარისკეს, რადგან 29 წლის თავდამსხმელს საკმაოდ ცუდი სეზონი ჰქონდა. გაისად კი, როცა უფასო იქნება, ცხადია, გაცილებით მეტი მთხოვნელი ეყოლება. შესაბამისად, "ბაიერნი" მომავალი სეზონის დასრულებას მშვიდად ვერ დაელოდება.

დაბოლოს, აი, რას ამბობს მიროს მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი**: *"იმედი მაქვს, რომ კლოზეს შესახებ ყველაფერი მალე გაირკვევა. თუ მირო "ბაიერნში" გადავა, ამ ფაქტს 100 პროცენტით მივესალმები, ხოლო თუ ბრემენში დარჩება, მაშინ პროფესიონალიზმი არ უნდა დაივიწყოს და "ვერდერისთვის" თავი არ უნდა დაზოგოს."* შეგახსენებთ, რომ მიროსლავ კლოზე "ვერდერში" 2004 წელს, "კაიზერსლაუტერნიდან" გადავიდა. ბუნდესლიგაში ჩატარებულ 89 მატჩში მას 53 გოლი აქვს გატანილი.

გოტფრიდ ლენცი

ზალცბურგი

ტრაპატონის მათეუსი ჩამოაშორეს

მიზეზი: ტრაპი და ლოთარი ტაქტიკაზე ვერ თანხმდებოდნენ, მაესტრო ისევ ბრემეს ელოდება...

ზალცბურგის "რედ ბულმა", გუნდმა, რომელიც ავსტრიის ჩემპიონი გახდა და მიზნად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა დაისახა, მთავარი მწვრთნელის, **ჯოვანი ტრაპატონის** მარჯვენა ხელი, **ლოთარ მათეუსი** ასისტენტის თანამდებობიდან გაათავისუფლა. "ზალცბურგის" ფეხბურთელებს შვებულება გუშინ დაუმთავრდათ და მათეუსი პირველსავე ვარჯიშზე არ გამოჩენილა. 46 წლის გერმანელის გაგდებას, რა თქმა უნდა, არავინ ელოდა - გერმანიის ნაკრების რეკორდსმენსა (150 მატჩი) და მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონს ავსტრიულ გრანდთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებდა. ამრიგად, "ზალცბურგში" "ტრაპათეუსი" დამთავრებულია, დღეიდან მაესტრო ჯოვანი გუნდს ეულად უხელმძღვანელებს.

მათეუსის გათავისუფლების მიზეზი, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით ისაა, რომ ლოთარი და ჯოვანი ტაქტიკაზე ვერ თანხმდებოდნენ და მუდმივად კამათობდნენ ხოლმე. 68 წლის ტრაპატონი იმის მომხრე გახლდათ, რომ გუნდს დაცვითი ტაქტიკით ეთამაშა, მათეუსი კი, პირიქით, შემტევ ფეხბურთს ითხოვდა. ბოლო დღეებში მწვრთნელსა და მის ასისტენტს შორის კამათმა ავსტრიული პრესის ფურცლებზეც გადაინაცვლა და უკვე საჯარო გახდა, რაც გუნდის შეფებმა ვეღარ აიტანეს. და სულაც არაა გასაკვირი, რომ ამ დავას სწორედ მათეუსი შეეწირა და არა ტრაპატონი. ლოთარი ჟურნალისტებთან საუბრისას ამბობდა, ტრაპის ტაქტიკა არაფრად ვარგაო. შეფებმა ეს განცხადება გუნდისთვის ზიანის მომტანად შეაფასეს და გერმანელს კარისკენ მიუთითეს.

კურიოზია ის, რომ ტრაპატონი მათეუსისთვის პოსტის შენარჩუნებას ეცადა. ჯოვანიმ ბოსების კაბინეტს მიაშურა და მათ სთხოვა, მათეუსს ნუ გაუშვებთო. ტრაპის თქმით, მასსა და ლოთარს შორის დავა სავსებით ნორმალურია. *"ჭეშმარიტება სწორედ კამათში იბადება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათეუსის გათავისუფლების მომხრე ვარ. ჩვენ ხშირად ვკამათობთ, რაც სავსებით ნორმალურია. მათეუსის გათავისუფლების წინააღმდეგი ვარ, მინდა, რომ გუნდში დატოვონ, ლოთარი ძალიან მჭირდება,"* - განაცხადა ტრაპატონიმ. მაგრამ გუნდის შეფები შეუვალნი აღმოჩნდნენ და მათეუსი მაინც დაიფრინეს.

მათეუსი ტრაპატონის გაეყარა

"ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ ეტაპზე გუნდს ყველაზე მეტად სიმშვიდე სჭირდება. მათეუსმა შეცდომა დაუშვა, როცა შიდა ამბები საჯაროდ აქცია. ამით გუნდი ქაოსში ჩააგდო. სხვათა შორის, ერთი წლის წინათაც დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო, მაგრამ თავი შევიკავეთ და ლოთარს მოვუწოდეთ, ჭკუისთვის მოეხმო," - ამბობს "ზალცბურგის" სპორტული დირექტორი **ოლივერ კროიცერი**. *"გუნდის გადაწყვეტილება მიღებულია, აქედან მივდივარ. მეტს არაფერს ვიტყვი!"* - ეს კი უკვე ლოთარის სიტყვებია.

შეგახსენებთ, რომ მათეუსი ტრაპატონის ასისტენტად ზუსტად ერთი წლის წინათ დაინიშნა და როგორც ხედავთ, ამ პოსტზე მხოლოდ 1 წელიწადი გაძლო. ეს უკვე ზედიზედ მეხუთე შემთხვევაა მათეუსის სამწვრთნელო კარიერაში, რომ ის კონტრაქტის ამოწურვამდე ამთავრებს მუშაობას. ვენის "რაპიდში" (2001/02) მათეუსმა მხოლოდ 8 თვე გაძლო, ბელგრადის "პარტიზანში" (2002/03) 11 თვე, "ატლეტიკო პარანაენსედან" კი, სულაც 7 კვირის შემდეგ გამოიქცა. ერთადერთი გუნდი, სადაც ლოთარმა დიდხანს (2 წელი) იმუშავა, უნგრეთის ნაკრები გახლდათ (2003/05). როგორც ჩანს, ლეგენდარულ ფეხბურთელს მწვრთნელის რანგში დიდხანს გაჩერება არსად უწერია. გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, დიდი შანსია, რომ მათეუსის ადგილი **ანდრეას ბრემემ** დაიკავოს. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი შტუტგარტშიც ტრაპის თანაშემწე გახლდათ.

გოტფრიდ ლენცი



ფელიქს მაგათი

ვოლფსბურგი. ახალი მწვრთნელის წარდგენა

დესპოჭი ფოლკსვაგენს მოაჯდა

მინიმუმ 15 მილიონი ტრანსფერებისთვის და სრული ძალაუფლება მაგათს...

გუშინ, "ვოლფსბურგმა" ახალი მწვრთნელი ოფიციალურად წარადგინა. **ფელიქს მაგათი**, ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი სპეციალისტი, ქვემოსაქსონიური კლუბისთვის უდიდესი მონაპოვარია, რადგან ცოტა ხნის წინათ მენეჯერიც იქნება და მწვრთნელიც. ფელიქსის წარდგენაზე უამრავმა ჟურნალისტმა მოიყარა თავი.

53 წლის სპეციალისტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ "ვოლფსბურგში" მენეჯერის პოსტზე მუშაობა მისი კარიერის სასიამოვნო სიახლეა, რადგან ასეთ პოსტზე მას იმის უფლება და საშუალება ექნება, რომ ძლიერი გუნდი ააშენოს. მაგათმა განაცხადა, რომ ეს თანამდებობა მისთვის ზედგამოჭრილია, რადგან ყველაფერს თვითონ განაგებს, მათ შორის, სატრანსფერო პოლიტიკასაც. "ბაიერნში" მას მხოლოდ სამწვრთნელო საქმე ჰქონდა ჩაბარებული, ტრანსფერებს კი **ული ჰაინესი** და **კარლ-ჰაინც რუმენიგე**, ხშირად მასთან შეუთანხმებლად ახორციელებდნენ. ფელიქსი ამბობს, რომ ამ მხრივ "ვოლფსბურგში" გაცილებით ბედნიერად იგრძნობს თავს, ვიდრე რეკორდმაისტერში გრძნობდა. სხვათა შორის, მაგათი ზუსტად ასეთივე თანამდებობაზე მუშაობდა "შტუტგარტში" და საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ "ვოლფსბურგი" საშუალოზე დაბალი დონის გუნდია (ბოლო ორ სეზონში "მგლები" მეორე ბუნდესლიგაში გავარდნას ძლივსძლივობით გადაურჩენენ), მაგათის მიზანი ტიტულებია. *"ცხრილის შუაში ყოფნით კმაყოფილი ვერასდროს ვიქნები. მე ყოველთვის უმაღლესი მიზნისთვის ვიბრძვი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ "ვოლფსბურგი" მომდევნო სეზონში გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. რაც არ უნდა მოხდეს, ეს ამ ეტაპზე შეუძლებელია. უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლაში მე ხანგრძლივ გეგმას ვგულისხმობ. მინდა, რომ 2010 წლამდე "ვოლფსბურგი" გერმანულ გრანდად ვაქციო. ამის წინაპირობა დავინახე და ამ სამსახურს ამიტომაც დავთანხმდი. ასე რომ არ ყოფილიყო, დღეს აქ ვერ მიხილავდით,"* - განაცხადა პრესკონფერენციაზე მაგათმა, რომლის კონტრაქტს ვადა 2010 წლის 30 ივნისამდე აქვს.

მწვრთნელი, სპორტული დირექტორი, მენეჯერი - ერთი სიტყვით, ასეთი ძალაუფლება ბუნდესლიგის არცერთ გუნდში არავის ჰქონია. ფაქტია, რომ კლუბის მფლობელ "ფოლკსვაგენს" სერიოზული გეგმები აქვს. "ბილდის" ინფორმაციით, ამ ზაფხულს მაგათი, ახალი ფეხბურთელების შესაძენად, მინიმუმ 15 მილიონ ევროს მიიღებს და ეს მხოლოდ დასაწყისია. ამასთან, მთელი ქალაქი ეიფორიაშია. თავად განსაჯეთ, კაფეებში მაგათის პოსტერებია გამოკრული, მენიუებში კი ყავის ახალი მარკა გაჩნდა, სახელწოდებით "გრაფი ფელიქსი"...

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ სამუელ ეტოოსთან

თუ თავად არ ვისურვებ წასვლას, ვერავინ გამაგდებს

კამერუნელი ფორვარდი დარწმუნებულია, რომ მომავალ სეზონშიც კამპ ნოუზე ითამაშებს...

სამუელ ეტოო

ერთი შეხვედრაც და პრიმერა დივიზიონის წლევანდელი გათამაშება წარსულს ჩაბარდება. ყველა პროგნოზის თანახმად, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ფავორიტი მადრიდის "რეალია". მართალია, "ბარსელონას" თეორიული შანსი არ დაუკარგავს, მაგრამ კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ ფაქტობრივად, გადაუჭრელი მისიის წინაშე დგანან. როგორც ამბობენ, ჩიკი ბეგირისტაინსა და ხოან ლაპორტას უფრო პრაგმატულად მომავალი სეზონისთვის მზადების დაწყება მიაჩნიათ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "ბარსას" ბოსებს დიდად არ სჯერათ, რომ სამეფო კლუბი "მალიორკასთან" საშინაო შეხვედრაში ქულებს დაკარგავს. ამიტომ, მათ მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყეს და შემადგენლობის გაძლიერებისთვის ზრუნვას შეუდგნენ. როგორც იცით, კატალონიური გიგანტის უპირველესი სამიზნე ტიერი ანრია. ყველა დარწმუნებულია, იმ შემთხვევაში, თუ ფრანგი ფორვარდი "კამპ ნოუზე" გადაბარგდება, დღის წესრიგში სამუელ ეტოოს გაყიდვა დადგება. მიმომხილველები ფიქრობდნენ, რომ კამერუნელი ვარსკვლავი ანრის შეძენის სურვილის გახმაურებას უკიდურესად უარყოფითად შეხვდებოდა და ხელმძღვანელობას კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებდა. ბევრისთვის მოულოდნელად ეტოომ განაცხადა, ღმერთმა ქნას, ტიერი "ბარსელონაში" ჩაირიცხოსო, თუმცა სამუელმა მრავალმნიშვნელოვნად დაამატა, გუნდს ყველაზე მეტად ძლიერი მცველი ესაჭიროებაო.

- როგორ წარმოგიდგენიათ რონალდინიოს, მესის, ეტოოსა და ანრის ერთად თამაში?

- ღმერთმა ქნას, ტიერი ბარსელონაში ჩამოვიდეს და "ბარსას" მსოფლიოში ყველაზე ძლიერი თავდასხმა ჰყავდეს. ანრი ფანტასტიკური ფორვარდია, ამას მტკიცება და ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. ჩემი აზრით, მისი გადმობირება შეტევის ხაზს მნიშვნელოვნად გააძლიერებს, მაგრამ არ შემიძლია ერთ გარემოებასაც არ გავუსვა ხაზი. "ბარსელონას" ყველაზე მეტად ძლიერი მცველი სჭირდება. დამეთანხმებით, ფეხბურთი მხოლოდ შეტევა არ არის. როცა უკანა ხაზს უჭირს, მას აუცილებლად უნდა დაეხმარო. სამწუხაროდ... თუმცა სჯობს, ბევრი არ ვისაუბრო. კლუბის დაკომპლექტება მე არ მეხება. ამ საქმეზე ჩიკი ბეგირისტაინმა უნდა იზრუნოს. ცხადია, მთავარ მწვრთნელ, ფრანკ რიიკაარდთან მჭიდრო კოორდინაციით. ერთი სიტყვით, დირექტორატი ვალდებულია, მხოლოდ საუკეთესო მოთამაშეები გადმოიბიროს. ანრი ერთ-ერთი საუკეთესოა, თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მაღალი კლასის მცველი ყველაზე მეტად გვჭირდება.

- ექსპერტების უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ ანრის გადაბირების შემთხვევაში "ბარსელონის" ხელმძღვანელობა სამუელ ეტოოს გაყიდის...

- არც კი ვიცი, როგორ გიპასუხოთ. "ბარსასთან" კონტრაქტით ვარ დაკავშირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებას მე ვიღებ. თუ თავად არ ვისურვებ წასვლას, ვერავინ გამაგდებს. შესაძლოა, ყველა ყველას მოელაპარაკოს, მაგრამ სამუელ ეტოოს თანხმობას თუ არ მიიღებენ, ტრანსფერი არ შედგება. ვგონებ, ყველაფერი ცხადი და გასაგებია.

- გასაგებია, მაგრამ პრაქტიკულად, არ არსებობს შემთხვევა, როცა გუნდს ვარსკვლავის გაყიდვა სურდეს და ამ ფეხბურთელმა თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს. მსგავს შემთხვევებში ისინი ყოველთვის მიდიან და უკვე სხვა კლუბის მაისურით ცდილობენ, ყოფილ გუნდზე შურისძიებას.

- რამდენადაც ვიცი, "ბარსელონის" არც ერთ დირექტორს, მით უმეტეს, პრეზიდენტს არ უთქვამს, რომ ჩემი გაყიდვა სურს. პირიქით, მათ სამუელ ეტოოსთან თანამშრომლობის გახანგრძლივება უნდათ. მოკლედ, "ბარსელონიდან" არსადაც არ მივდივარ. არ ვიცი, საიდან მოაქვთ ჭორები, თითქოს სხვაგან მივდივარ. ეს სისულელეა. იმედია, ჭორების მოყვარულები მალე დაიღლებიან და თავს დამანებებენ.

- ცნობილია, რომ "მილანი" 40 მილიონს იხდის. ამის შესახებ თავად იტალიური გრანდის მმართველმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა...

- "მილანს" სრული უფლება აქვს, "ბარსელონას" არა 40 მილიონი ევრო, არამედ 200 მილიონი ბრიტანული ფუნტიც შეთავაზოს. როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი თანხმობის გარეშე ვერ გამყიდიან. მე კი კარიერის "ბარსაში" გაგრძელების სურვილი მამოძრავებს.

- არც "ლივერპულის" მიერ შემოთავაზებული 60 მილიონი გაშფოთებთ?

- მგონი, "ლივერპულის" დაინტერესება ჭორია და სხვა არაფერი. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად არავის უთქვამს, რომ ჩემს სანაცვლოდ 60 მილიონ ევროს იხდიან. ბენიტესის გუნდი ძალიან მომწონს, მაგრამ "ბარსელონა" ბევრად მირჩევნია.

- წინა ტურის შეხვედრაში გენიალური შანსი გაუშვით ხელიდან. ყველა პირობა გქონდათ იმისთვის, რომ "რეალისთვის" გაგესწროთ, მაგრამ სამეფო კლუბმა პირველობა შეინარჩუნა. როგორ ფიქრობთ, რაში შეცდით?

- მთავარი შეცდომა ის გახლდათ, რომ მთელმა გუნდმა ნაადრევად იწამა გამარჯვება. საფინალო სასტვენი არავის მოუსმენია, მაგრამ უკვე გვეგონა, რომ თამაში დამთავრდა და პირველი ადგილი დავიბრუნეთ. ფაქტობრივად, საჩემპიონო ფიესტა წამოვიწყეთ. სამწუხაროდ, პროფესიონალებისთვის დამამცირებელი შეცდომა დავუშვით.

- როგორ, ეს "ბარსელონასაც" შეიძლება შეემთხვეს?

- როგორც ხედავთ... არადა, ერთი წუთიც რომ გაგვეძლო, ახლა უპირობო ფავორიტები ვიქნებოდით. ესპანეთის ჩემპიონები ზედიზედ ორჯერ გავხდით. ეს ისეთი საქმეა, როცა მადა არასოდეს შეგიმცირდება. მე მაინც ვოცნებობ, რომ ზედიზედ მესამედ მოვიპოვოთ საჩემპიონო ტიტული.

- თქვენი ყოფილი კლუბის, "მალიორკის" ფეხბურთელებისთვის რაიმე ხომ არ გითხოვიათ, ან მომავალში ხომ არ აპირებთ თხოვნას?

- იქ აღარ ვთამაშობ, თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ ოდესმე დავბრუნდები. თხოვნას რაც შეეხება, არ მგონია, საჭირო იყოს. ბალეარელები პროფესიონალები არიან და "სანტიაგო ბერნაბეუზე" ყოველგვარი თხოვნის გარეშეც მაქსიმუმს გაიღებენ. "ბარსელონამ" მხოლოდ მის შეხვედრაზე უნდა იფიქროს. სხვა "რეალისა" და "მალიორკის" მატჩში ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ.

- როგორც ვხედავ, აზრი არ შეგიცვლიათ და კარიერის "მალიორკაში" დასრულება გსურთ...

- დიახ. "მალიორკამ" დახმარების ხელი ჩემი პროფესიული კარიერის ყველაზე რთულ დროს გამომიწოდა. ბალეარის კუნძულებზე აბსოლუტურად ყველას ვუყვარდი და ახლაც ვუყვარვარ. ძალიან მინდა, კარიერის მიწურულს იქ დავბრუნდე და ბოლო წლები "მალიორკის" კეთილდღეობას მოვახმარო.

- როგორც ამბობენ, "ბარსელონის" ფეხბურთელების ერთი ნაწილი პრემიალური თანხების გაზრდას მოითხოვს, მათ შორის, ლეო მესიც. საინტერესოა, სამუელ ეტოოც იგივეს ითხოვს?

- ფეხბურთს იმისთვის ვთამაშობთ, რომ ფული ვიშოვოთ. პროფესიული მოვალეობების შესრულება ხშირად ჯანმრთელობის ფასად გვიწევს. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდება, თუ კიდევ უფრო მეტი შემოსავალი მექნება, მაგრამ ჩემი უპირველესი ვალდებულება ფეხბურთის თამაშია. ხელფასებსა და პრემიებზე კი გადაწყვეტილებები დირექტორატმა უნდა მიიღოს.

- ხავიერ სავიოლამ "რეალთან" რომ გააფორმოს კონტრაქტი როგორი რეაქცია გექნებათ?

- ხავიერმა რა ნაბიჯიც არ უნდა გადადგას, მას ნებისმიერ შემთხვევაში პატივისცემით მოვეპყრობი. სავიოლას ძალიან რთული წელიწადი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ნერვიული აფეთქების ზღვარს ერთხელაც არ მიახლოვებია. "ბაჭიას" ყოველივე საუკეთესოს" ვუსურვებ.

- როგორ ფიქრობთ, შესწევს "მალიორკას" იმის უნარი, რომ სამეფო კლუბს "სანტიაგო ბერნაბეუზე" ქულები დააკარგვინოს?

- შეუძლებელი არაფერია. მით უმეტეს, მაშინ, როცა საქმე "მალიორკას" ეხება. ბოლო წლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მადრიდელებს ბალეარელებთან შინ თამაში ძალიან უჭირთ. რა თქმა უნდა, მთელი ბარსელონა "მალიორკას" უქმაგებს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ბუნებრივია, ურთულესი ამოცანის წინაშე ვდგავართ, მაგრამ ჩემპიონობის თეორიული შანსი არ დაგვიკარგავს. ვალდებულები ვართ, კატალონიურ დერბიში დაშვებული იდიოტური შეცდომა აღარ გავიმეოროთ და ბოლო წამამდე ვიბრძოლოთ. ცალი თვალი ისევ სხვა მატჩისკენ გვექნება მიპყრობილი.

- რუუდ ვან ნისტელროის "ოქროს ბუცამდე" ერთი გოლი აკლია...

- იმედია, "მალიორკას" გოლს ვერ გაუტანს და ამ ჯილდოს გარეშე დარჩება.

ილია ნიკოლაიშვილი

ხოან ლაპორტა

ბარსელონა

ლაპორტას სამი მილიონი

კატალონიელი პრეზიდენტი რეალის გამწარებისთვის მორიგ ჯილდოს აწესებს

"ბარსელონის" ხელმძღვანელობა თავისას არ იშლის. უკვე იცით, რომ **ხოან ლაპორტა** "სარაგოსისისა" და "რეალის" მატჩის წინ, არაგონელ ფეხბურთელებს პრემიალურ თანხას შეპირდა. იმ შემთხვევაში, თუ "ლა რომარედაზე" დედაქალაქელებს ორ ქულას მაინც დაატოვებინებთ, თითოეულ მოთამაშესა და მწვრთნელებს 50-50 ათას ევროს გაჩუქებთო. "სარაგოსამ" იმ ორთაბრძოლაში ფრეს მიაღწია, მაგრამ "ბარსამ" ამით ვერ ისარგებლა და "ესპანიოლთან" წაფორხილების გამო, სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესება ვერ შეძლო. ბატონი ხუანი იძულებული გახდა, მილიონ ევროზე მეტი წყალში გადაეყარა. სიტყვას ნებისმიერ შემთხვევაში შესრულება სჭირდებოდა.

ახლა სენიორ ლაპორტამ "მალიორკის" ბიჭების მოტივირებაც გადაწყვიტა. "ბარსას" პრეზიდენტმა უპრეცედენტოდ დიდი პრემია დაანესა. თუ ბალეარელები "ბერნაბეუზე" თუნდაც ერთ ქულას მოიპოვებენ, კატალონიური გრანდის ბიუჯეტიდან ასევე საჩუქრად, არც მეტი არც ნაკლები, სამ მილიონ ევროს მიიღებენ. აღსანიშნავია, რომ მსგავს სიტუაციაში ამხელა თანხა არასდროს არავის არავისთვის შეუთავაზებია. ლაპორტასა და მის მეგობრებს სჯერათ, რომ სამი მილიონი ევრო კუნძულელებს მოტივაციას გაუორმაგებს. კაცმა რომ თქვას, სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით, "მალიორკას" გამარჯვება არაფერში სჭირდება. გუნდს არც გავარდნის საშიშროხე ემუქრება და უეფას თასის საგზურის მოპოვების შანსიც დიდი ხნის წინათ დაკარგა. ასე რომ, "ბარსელონის" მიერ ასტრონომიული თანხის შეთავაზება სულაც არ არის საღ აზრს მოკლებული. თითოეულ ფეხბურთელს ხომ 100 ათას ევროზე მეტი მოუწევს. საშუალო ხელფასის მქონე ესპანელის წლიურ შემოსავალთან შედარებით კი ეს მთელი ქონებაა.

ბრაზილიის ნაკრები

დუნგა რობინიოს დაჟინებით ითხოვს

საფეხბურთო ასოციაციამ რეალის ფორვარდს მალიორკასთან თამაში აუკრძალა

ბრაზილიის საფეხბურთი კონფედერაციისა და "რეალის" დაპირისპირება გრძელდება. სამხრეთამერიკელები **რობინიოს** მომავალ უქმეებზე "მალიორკასთან" თამაშს უკრძალავენ და კოპა ამერიკისთვის მოსამზადებლად სამშობლოში უხმობენ. სამეფო კლუბის ოფისში ასოციაციიდან ფაქსი უკვე მივიდა. ბრაზილიელები ევროპელი კოლეგებისგან მთელი კატეგორიულობით მოითხოვენ, რომ რობინიო აღარ დააყოვნონ და სასწრაფოდ გაამგზავრონ ტერესეპოლისში. როგორც ყოველთვის, "სელესაო" ახლაც რიოდან 100 კილომეტრით დაშორებულ ამ ლამაზ დაბაში ემზადება. **პრედრაგ მიატოვიჩი** ბრაზილიელთა იმპერატიული ტონით შეშფოთებულია. რობინიო "რეალს" გადამწყვეტ შეხვედრაში სჭირდება. ამასთან, იმის უფლებაც არ აქვს, რომ ფორვარდი თვითნებურად დააკავოს. დაგვეთანხმებით, მადრიდელები დიდი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. საქმეს ისიც ართულებს, რომ გამოსავალი უახლოეს საათებში უნდა იქნას ნაპოვნი. **კარლოს დუნგას** მოთხოვნით, რობინიო დღეს საღამოს უკვე თვითმფრინავში უნდა იჯდეს. ექსპერტების აზრით, გამორიცხულია, რომ ბრაზილიის საფეხბურთო ასოციაციამ უკან დაიხიოს და დათმობაზე წავიდეს.

დამპალი პომიდორები ღამურებს

გუშინ "ვალენსიის" ჩვეულებრივი, რიგითი ვარჯიში დიდი სკანდალით დასრულდა. ბაზაზე, ეგრეთ წოდებული, 20 ულტრასი შეიჭრა და ფეხბურთელებსა და მთავარ მწვრთნელს დაუპირისპირდა. **დავიდ ვილიას, დავიდ აბელდას, სანტიაგო კანისარესს, ფერნანდო მორიენტესსა** და **კიკე სანჩეს ფლორესს** გულშემატკივრებმა დამპალი პომიერები დაუშინეს. ვალენსიელებს სიტყვიერი შეურაცხყოფაც არ დაკლებიათ. რას არ უყვიროდნენ მათ: *"ჩაფსმული ქალებო, ფულის მოყვარულებო, არაკაცებო, ბოზის შვილებო..."* "ვალენსიის" ბაზის დაცვის შვიდი თანამშრომელი აგრესორებს ვერ გაუმკლავდა. ამიტომ ისინი იძულებულნი გახდნენ, პოლიციაში დაერეკათ. სამართალდამცველები 10 წუთში მივიდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს 10 წუთი ყველაზე ჯოჯოხეთური იყო ვალენსიელი ფეხბურთელებისთვის. ულტრასები პოლიციელებმა განყოფილებაში წაიყვანეს. მათ ბედს სასამართლო გადაწყვეტს.

სოლდადო მალიორკაში წავა?

"მალიორკის" ხელმძღვანელობამ **რობერტო სოლდადოს** გადასაბირებლად სერიოზული ბრძოლის წამოწყება გადაწყვიტა. ახალგაზრდა ესპანელი ფორვარდი მადრიდის "რეალის" საკუთრებაა. ის დედაქალაქური გრანდის "კანტერაში" აღიზარდა, მაგრამ ჯოჯოხეთური კონკურენციის გამო, ძირითად გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა და ეს სეზონი იჯარის წესით "ოსასუნაში" გაატარა. ბალეარელები კვირის ბოლოს "სანტიაგო ბერნაბეუზე" პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურის შეხვედრას ჩაატარებენ. "მალიორკის" ხელმძღვანელობა შემთხვევით ისარგებლებს და **პრედრაგ მიატოვიჩს** ტრანსფერის შესახებ დაელაპარაკება.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ევა ბერგერი და ლეილა მესხი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ავსტრიის ავიახაზების თასი

გაისად სიურპრიზს გიმზადებთ

ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე სამი დღეა, "ავსტრიის ავიახაზების" საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს 14 და -16 წლამდელთა შორის. 9 ქვეყნის ჩოგბურთელები თამაშობენ.

გუშინ, 13 საათზე ჩოგბურთის ფედერაციაში ამ ტურნირისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ: კომპანია "ავსტრიის ავიახაზების" გენერალური მენეჯერი საქართველოში, ქალბატონი **ევა ბერგერი**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** და ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლეილა მესხი**.

ლეილა მესხი: - ეს შეჯიბრება წლეულს მეცხრედ ტარდება და საერთაშორისო წესებით მესამე კატეგორიას განეკუთვნება. უფრო მაღალი, მეორე კატეგორია რომ მიენიჭოს, ამისთვის მინიმუმ 9 ქვეყნის წარმომადგენლები უნდა იღებდნენ მონაწილეობას. წელს სწორედ რომ 9 ქვეყნიდან გვესტუმრნენ, რაც იმის წინაპირობაა, რომ მომავალ წელს მეტი სტუმარი გვეყოლება და მეორე კატეგორიაც მოგვენიჭება.

შეჯიბრებაში 14 და 16-წლამდელთა შორის ყველა უძლიერესი ქართველი ჩოგბურთელი თამაშობს, რაც მშვენიერი საშუალებაა, ქულები დააგროვონ და ევროპაში თანატოლთა შორის ნარმატებისთვის იბრძოლონ. გამარჯვებულები აუცილებლად გაეგზავრებიან თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე.

დავით ნამგალაური: - მსგავსი საჩოგბურთო ტურნირები ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. ჩოგბურთის ფედერაცია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფედერაციაა საქართველოში და ეს ტურნირიც ამის დადასტურებაა. "ავსტრიის ავიახაზებს" დიდ მადლობას ვუხდი თანადგომისთვის. ეს კომპანია მხოლოდ ამ ტურნირით არ გამოხატავს მხარდაჭერას - სხვა მხრივაც გვეშველება და არა მხოლოდ ჩოგბურთს - მთლიანად ქართულ სპორტს...

ევა ბერგერი - ძალიან მიხარია, რომ გვაქვს შესაძლებლობა, საჩოგბურთო ტურნირი გავმართოთ. საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციასთან იოლი და სასიამოვნოა მუშაობა, რადგანაც აქ თავის საქმეს ყველა პროფესიულად აკეთებს.

- ბოლო დროს, მრავალი ტურნირი ჩატარდა საქართველოში, მაგრამ რატომღაც სულ ასაკობრივი შეზღუდვებით - 12-14 და 16 წლამდე. ახალგაზრდობაზე აქცენტი გასაგებია, მაგრამ უფროსთა ტურნირებიც საჭიროა. თუ ფედერაციას და ჩოგბურთის განვითარებას ასეთი სტრატეგია აქვს შემუშავებული?

ლეილა მესხი: - საქართველოში ჩოგბურთი დღითიდღე პოპულარული ხდება; რეგიონებში უამრავი მსურველია, მაგრამ იქ საჩოგბურთო ინფრასტრუქტურა არაა განვითარებული, ამიტომ მათი დიდი ნაწილი თბილისში ჩამოდის. მათი დაოსტატებისთვის ვცდილობთ, რაც შეიძლება ბევრი ტურნირი მოვაწყოთ. ესეც რომ არა, მომავალს დიდი ყურადღება ისედაც უნდა დავუთმოთ, რადგანაც ლაბაძისა და ჩიხლაძის შემდეგ ქართულ ჩოგბურთში სიცარიელე გვაქვს. სულ მალე "რენას თასი" დაიწყება, ივლისში კი, ორწლიანი შესვენების შემდეგ ვაჟთა ტურნირს გავმართავთ, რომლის საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარი იქნება. ამას გარდა, შემოდგომით ტრადიციულ ქალთა ტურნირებსაც ჩავატარებთ.

- "ავსტრიის ავიახაზებთან" მომავალში უფრო მასშტაბურს ხომ არ გეგმავთ რამეს?

ევა ბერგერი: - მომავალ წელს კომპანია "ავსტრიის ავიახაზებს" საქართველოში მუშაობის 10 წელი უსრულდება. ცხადია, ასეთ თარიღს უყურადღებოდ არ დავტოვებთ, ხოლო რა მასშტაბებთან გვექნება საქმე, თქვენი ფანტაზიისთვის დამითმია.

- იქნებ მაინც გვითხრათ, რას აპირებთ?

- სჯობს საიდუმლოდ შევინახოთ და სიურპრიზის სახით მოგაწოდოთ. გარწმუნებთ, კმაყოფილები დარჩებით.

ზვიად შათირიშვილი

ბარსელონას დაემშვიდობა

მაკა ჩახნაშვილმა ბარსელონის WTA-ს ტურნირში (145 ათასი დოლარი) ასპარეზობა გუშინ დაასრულა. ჩახნაშვილი კვალიფიკაციაში მე-4 ნომრად იყო განთესილი და მეორე წრეში წაგო, გუშინ კი წყვილთა თანრიგში, ძირითადი ბადის პირველი წრის მატჩში იწვნია მარცხი. მაკა რუს **ეკატერინა ივანოვასთან** ერთად თამაშობდა, მათ **ნიკულესკუსა** და **უბეროის** დუეტთან წააგეს ორ სეტში - 2:6, 1:6. შეგახსენებთ, რომ მაკა ჩახნაშვილი დღეისათვის ყველაზე წარმატებული ქართველი ჩოგბურთელია, ის ერთეულთა შორის მსოფლიოს 149-ე ჩოგანია, წლის რბოლაში 161-ეა, ხოლო წყვილთა რეიტინგში - 191-ე.

ლადო წაგებით დაბრუნდა

აპრილის ბოლოს საქართველოს მეორე ჩოგანმა **ლადო ჩიხლაძემ** (477) შვეიცარიულ ტურნირში ტრავმა მიიღო და მხოლოდ ახლაღა გამოჯანმრთელდა. ლადო ასპარეზს გერმანიაში დაუბრუნდა, სადაც ინგოლშტადტის 15-ათასიან ტურნირში პირველ წრეში იამაიკელ **დასტინ ბრაუნს** (499) შეხვდა. ბრაუნს ჩიხლაძე მეხუთედ დაუპირისპირდა კარიერაში და მეოთხედ დამარცხდა - 6:7 (2), 0:6.

უკრაინაში ფიუჩერსის სერიის მესამე ტურნირი მიმდინარეობს. ჩერკასკის კორტებზე ძირითად ბადეში **ნოდარ ითონიშვილი** ბრძოლით გავიდა, ხოლო **გიორგი ხრიკაძე** ორგანიზატორებმა "უაილდ ქარდით" მიიწვიეს. ხრიკაძე პირველ წრეში გერმანელ **მარტინ ემერიხს** ხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მხოლოდ ჩემპიონს არ წაუგია

ყოჩები-ლოკომოტივი 16:25

ყოჩები: (15-9) გეგენავა, ნიჟარაძე, ჟამუტაშვილი, ადანაია, კუპრეიშვილი, კობახიძე, ხელაძე (კალმახელიძე 41); (1-8) ასეიშვილი (კიკნაველიძე 65), ჭავჭავაძე, შეყლაშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, ბრეგვაძე, ახვლედიანი სბ, კუჭუხიძე; - *2ლ (კობახიძე, ბრეგვაძე) 2ს (კობახიძე)*

ლოკომოტივი: (15-9) ასათიანი, გუგავა, ბერძენიშვილი, ხაჩირაშვილი, ანდღულაძე (ქავთარაძე 8), კვინიხიძე, ღვინჯილია; (1-8) პეტრიაშვილი, ტუჩაშვილი, ხეჩიკოვი, კახიანი, მგელაძე სბ, ბერიშვილი (მთიულიშვილი 60), ნიშნიანიძე, ყურაშვილი - *3ლ (გუგავა, პეტრიაშვილი, ასათიანი); 2გ, 2ს (კვინიხიძე)*

მსაჯი: **მ. ჩაჩუა**

გადამწყვეტი ლელო გიორგი ასათიანმა გაიტანა

აქამდე წაუგებელი ორი გუნდის შეხვედრა ქვეყნის ჩემპიონის, "ლოკომოტივის" გამარჯვებით დასრულდა 25:16. ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ რკინიგზელებს გამარჯვების მისაღწევად დიდი ჯაფა დაადგათ და ადვილი შესაძლებელი იყო, მარცხი ეგემნათ.

"ყოჩები", ვინც წლეულს "ხულიგანას" მორაგბეებითაა გაძლიერებული, თამაშზე მაქსიმალურად შემართული გამოვიდა. მათი პირველივე შეტევა შედეგიანი გამოდგა. მე-2 წუთზე **კახა კობახიძემ** ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო გაიტანა - 3:0.

"ლოკომოტივმა" თავის ჩვეულ სტილს არც ამ შეხვედრაში უღალატა. შერკინების დარტყმებით რკინიგზელმა თამაში ნელ-ნელა მეტოქის მოედანზე გადაიტანეს და 6 წუთში **ბობა კვინიხიძემ** საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა - 3:3. "ლოკომოტივს" ძალისმიერ თამაშში აჰყვა "ყოჩებიც" და მეტოქეს ტოლს არაფერში უდებდა.

მე-12 წუთზე "ყოჩების" მოლმა ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოწინააღმდეგე ლელოში შეათრია. ლელოს ავტორი **კახა კობახიძე** იყო, თუმცა, მასვე გარდასახვა გაუცუდდა - 8:3. ეს ანგარიშში კარგახანს შენარჩუნდა. ამ ხნის განმავლობაში ორივე გუნდი ძირითადად შერკინებას ამუშავებდა და ძალიან იშვიათად თუ ჩართავდა თამაშში უკანახაზელებს. ეს თამაშის სანახაობრივ მხარეს საგრძნობლად აკნინებდა.

პირველი ნახევრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე "ლოკომოტივმა" მაინც შეძლო დაწინაურება. "ყოჩებმა" საკუთარ ლელოსთან ხუთ მეტრში თავისივე დერეფანი წააგო. რკინიგზელთა შერკინებამ ორი დარტყმა განახორციელა და მერე მარცხნივ გრძელ ფრთაზე **ირაკლი ღვინჯილიამ** ბურთი **ბობა კვინიხიძეს** გაუტანა, ამან კიდევ უფრო მარცხნივ **ლექსო გუგავას** გადააწოდა, რომელიც მეტოქის ლელოში შურდულივით შეიჭრა. კვინიხიძემ გარდასახა -10:8. მანვე ორ წუთში საჯარიმოც ზუსტად დაარტყა და ტაიმიც დასრულდა -13:8.

მეორე ნახევარი "ყოჩების" შეტევებით დაიწყო. გუნდმა თითქმის მთელი 25 წუთი მოწინააღმდეგის ოცდაორმეტრიან ზონაში გაატარა. 46-ე წუთზე "ყოჩებმა" მიზნის მისაღწევად ისევ მოლი გამოიყენა. ამჯერად ყველაზე უკეთ ფლანკერი **ჯაბა ბრეგვაძე** გაისარჯა, კობახიძემ გარდასახვა ვერ გაიტანა და ანგარიში გათანაბრდა - 13:13. "ყოჩებმა" ამის შემდეგ ლელოს გატანის არაერთი შანსი გაუშვა ხელიდან. საბოლოოდ კი, 62-ე წუთზე მხოლოდ საჯარიმოს გამორჩა და კობახიძის ზუსტი დარტყმის შემდეგ ისევ წინ გავიდა - 16:13.

ჯერი "ლოკომოტივზე" მიდგა. რკინიგზელებმა მთელი თავისი პოტენციალი აამოქმედეს. 70-ე წუთზე მათი ხუთწუთიანი შტურმი ბურჯმა **ზერო პეტრიაშვილმა** ლელოთი დაასრულა, კვინიხიძეს გარდასახვა გაუცუდდა - 18:16. ცხადია, "ყოჩებისთვის" დაკარგული ჯერ არაფერი იყო, მაგრამ 75-ე წუთზე მათი ყველა მცდელობა რკინიგზელთა ფულბეკის **გიორგი ასათიანის** დიდოსტატურმა ლელომ გააბათილა.

"ყოჩების" ოცდაორმეტრიან ზონასთან შერკინება დაინიშნა რკინიგზელთა სასარგებლოდ. იქედან გამოსული ბურთი უკანა ხაზში ასათიანს მიუვიდა, მან კი მოწინააღმდეგის ლელოში ფეხით გადაიკიდა, მიჰყვა და ყველას დაასწრო. კვინიხიძემ გარდასახვა ზუსტად დაჰკრა და "ყოჩებს" ყველა იმედი გადაუწურა 25:16.

ბესიკ ჯანგავაძე

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1.ლოკომოტივი	3	3	0	0	99:38	6
2.ყოჩები	4	3	0	1	86:70	6
3.ლელო	3	2	0	1	119:51	4
4.დინამო	4	1	0	3	55:85	2
5.არმაზი	4	1	0	3	84:102	2
6.უნივერსიტეტი	4	1	0	3	50:118	2

ორი წყვილი პირველობისთვის

როგორც ვვარაუდობდით, მაია ჩიბურდანიძის სახელობის ტურნირზე ბოლოსწინა, მერვე ტურმა ვერაფერი გაარკვია, - პირიქით, უფრო დაძაბა სიტუაცია.

მერვე ტურში პირველ დაფაზე ლიდერები, **ივერი ჭილაძე** და **გაიოზ ნიგალიძე** თამაშობდნენ. თეთრებით ჭილაძე იყო. მეტოქეებმა მეტად მწავე დებიუტი გაითამაშეს, სადაც ნიგალიძემ კონტრთამაშისთვის პაიკი შესწირა. იდეამ გაამართლა და შავებმა სათამაშო სივრცე მიიღეს, პაიკიც დაიბრუნეს და თითქოს გადამწყვეტი უპირატესობაც აღარ იყო შორს, მაგრამ ჭილაძე კარგად გაერკვა ვითარებაში და თავდაცვა შეძლო. საბოლოოდ ყაიმი და ორივეს 6.5 ქულა გაუხდა.

6.5 ქულა დააგროვა **ლევან ფანცულაიამაც**, რომელმაც თეთრებით **ინგა ჭარხალაშვილი** დაამარცხა. მეოთხე 6.5-ქულიანი **თორნიკე სანიკიძეა**, ვინაც შავებით დაამარცხა **თამაზ მგელაძე**.

მეცხრე ტურში პირველ დაფაზე გაიოზ ნიგალიძე და ლევან ფანცულაია დასხდებიან, მეორეზე კი თორნიკე სანიკიძე და ივერი ჭილაძე. სანიკიძე-ჭილაძის წყვილში გამარჯვებული ჩემპიონი გახდება - მათ ნიგალიძესა და ფანცულაიაზე უკეთესი კოეფიციენტი აქვთ.

ნაკლები ბრძოლა არც დანარჩენი ადგილებისთვის იქნება და მეტადრე ქალებში. აქ პირველობისთვის ერთბაშად ხუთი მოჭადრაკე იბრძვის: **ინგა ჭარხალაშვილს, თამარ წერეთელს, მაია ლომინეიშვილს, ნინო ბაციაშვილს** და **სალომე მელიას** 5.5 ქულა აქვთ. აქედან ერთმანეთს ბათუმელები - მელია და ბაციაშვილი ხვდებიან; დანარჩენებს კი მამაკაცები ჰყავთ მეტოქეებად, რაც უფრო ართულებს მათ საქმეს: ლომინეიშვილი თეთრებით **გიგა ყუფარაძეს** ხვდება, რომელსაც 6 ქულა აქვს და თუ მოიგებს, ხუთეულში შესვლის შანსი უჩნდება; წერეთელი შავებით **ლუკა პაიჭაძეს** ეთამაშება, რომელსაც თავის მხრივ ლოკალური ინტერესები აქვს გადასაწყვეტი და, რეიტინგთან ერთად მცირე საპრიზო ფონდსაც გამოჰკრავს ხელს. ინგა ჭარხალაშვილი კი თეთრებით **მალხაზ სულაშვილს** დაუპირისპირდება და ალბათ ყველაზე კარგი შანსი მას აქვს: ჯერ ერთი, ინგა მშვენიერ ფორმაშია და მერვე ტურამდე ლიდერთა შორის იყო, ქალებში კი - პირველი; მეორე: სულაშვილი ვერ არის კარგ ფორმაში და შავებით როგორ გაუძლებს ინგას შემოტევებს, საკითხავია; და მესამეც: ინგას დიდი მოტივაცია აქვს, სულაშვილს კი თითქმის არანაირი - 5 ქულა აქვს და ექვსიც რომ დაგროვოს ათეულში ვერაფრით მოხდება - ძალიან ცუდი კოეფიციენტი აქვს.

საინტერესო ისიც არის, ასაკობრივებში ვინ იპირველებს, მაგრამ ამის თვლა შორს წაგვიყვანს - ხვალ ყველა გამარჯვებულს გაგაცნობთ.

საინტერესოა, სტუმართაგან ვინ როგორ თამაშობს. როგორც ტურნირის სტარტზე მოგახსენეთ, სტუმართაგან ისეთი ძალის არავინ ჩანდა, ვინც ჩიბურდანიძის თასის წართმევით დაგვმუქრებოდა. ასე რომ, მაია ჩიბურდანიძის სურვილი, თასი საქართველოში დარჩენილიყო, ასრულდა. საუკეთესო მაჩვენებელი აზერბაიჯანელ **ილღარ ბაჯარანს** აქვს - 4.5 ქულა და ბოლო ტურის წინ 28-ე ადგილზეა. 4 ქულა აქვს სომეხ **არნოლ მინასიანს**; ბაჯარანის შვილს კი - **ულვის** - 4 ქულით 47-ე ადგილი უკავია. ავსტრიელ **ტიმ რილს** - 3.5 ქულა აქვს, სომეხ **არმენ ანთონიანს** -3; საემიროელ **აშმედ ალბანის** კი - 2.5.

ბოლო ტურის დაწყების დრო არ შეიცვლება - 13 საათზე მიუსხდებიან დაფებს მოჭადრაკეები, დასრულების შემდეგ კი, დაახლოებით 18 საათზე დახურვის ცერემონიალი და პრიზიორთა დაჯილდოება გაიმართება.



ლევან ფანცულაია

ბოლო ტურში: გაიოზ ნიგალიძე (6.5)-ლევან ფანცულაია (6.5); თორნიკე სანიკიძე (6.5)-ივერი ჭილაძე (6.5); დავით არუთინიანი (6)-გიორგი ბალაბუროვი (5.5); მაია ლომინეიშვილი (5.5)-გიგა ყუფარაძე (6.0); სალომე მელია (5.5)-ნინო ბაციაშვილი (5.5); ლუკა პაიჭაძე (5.5)-თამარ წერეთელი (5.5); ინგა ჭარხალაშვილი (5.5)-მალხაზ სულაშვილი (5); ლევან არაშიძე (5)-შოთა აზალაძე (5); ნანა ძაგნე (5)-ვალერი გაფრინდაშვილი (5); ხვიჩა სუპატაშვილი (5)-ნოდარ ლორთქიფანიძე (5); მაკა ფურცელაძე (5)-მიხეილ კეკელიძე (5); ბეგლარ ჯობავა (5)-თამაზ მგელაძე (5); ლევან ბრეგაძე (5)-დავით ზარქუა (4.5); ბაჩანა მორჩილაშვილი (4.5)-დავით ლომსაძე (4.5); სოფიკო გურამიშვილი (4.5)-ილღარ ბაჯარანი (4.5); პარმენ გელაზონია (4.5)-ნინო ანაკიძე (4.5); ბელა ხოტენაშვილი (4.5)-ალექსანდრა ვახანია (4.5).

ზვიად შათირიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

ცქიტიშვილი ამერიკაში გაფრინდა

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ნიკა ცქიტიშვილი** ამერიკაში გაემგზავრა, სადაც აქტიურ ვარჯიშს შეუდგება და კემპებშიც მიიღებს მონაწილეობას.

იგი ამჟამად დენვერშია და ინდივიდუალურად ემზადება, 3-4 დღეში კი სან ანტონიოში ჩავა და "სპურსის" კემპში ჩაერთვება. ივნისის შუა რიცხვებში სან ანტონიოში 4-დღიანი საზაფხულო ბანაკი იმართება. მასში მონაწილეობენ როგორც დრაფტისთვის გამზადებული ევროპელები და ამერიკელები, ასევე "სპურსის" მიერ დრაფტზე აყვანილი კალათბურთელები და თავისუფალი აგენტები.

სწორედ ამ კემპზე შარშან **ვიქტორ სანიკიძემ** "სან ანტონიოს" უფროსობის თვალწინ ივარჯიშა. იგი წლეულსაც იყო მიწვეული, მაგრამ ერთობლივი შეთანხმებით გადაწყდა, რომ სანიკიძე "სპურსს" არა ივნისის, არამედ ივლისის ორ კემპზე დაეხმარება.

უახლოეს დღეებში ნიკა ცქიტიშვილიც "სან ანტონიოს" მწვრთნელის **გრეგ პოპოვიჩის** თვალწინ ივარჯიშებს და მოაწონებს თუ არა თავს, თვის ბოლოს გამოჩნდება. ნიკა ამერიკაში წასვლამდე იმედოვნებდა, რომ ამერიკულ თუ არა, ევროპულ კლუბთან საკონტრაქტო საკითხებს ივლისის შუამდე მოაწესრიგებდა. 18 ივლისიდან კი საქართველოს ნაკრებს შეუერთდებოდა.

ინტერვიუ დავით უგრეხელიძესთან

სლოვენიაში რატომ უნდა გავიქცე?



დავით უგრეხელიძემ სლოვენიაში გატარებული 7 სეზონის შემდეგ ძალები საქართველოს ჩემპიონატში მოსინჯა და პირველივე ცდაზე "აზოტთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონი გახდა. იგი შარშანაც მოხვდა ნაკრების 12-კაციან განაცხადში და ეროვნულში წლეულსაც გამოძახებულია. გუშინ დათოს სწორედ საკლუბო და სანაკრებო თმებზე ვესაუბრეთ.

- ვარჯიში ხომ არ გაგიახლებია?

- ჯერ ისევ ვისვენებ. სეზონი ორი კვირის წინ დასრულდა და ფორმიდან ამოვარდნისა არ მეშინია. ერთი თვეც არ არის ის დრო, შიგა და შიგ ვარჯიშით ფორმის დაკარგვის საშიშროება რომ არსებობდეს. მალე ინტენსიურ წვრთნას შევუდგები.

- 2 ივლისის შეკრებისთვის გამოძახებული ხარ?

- დამიძახეს. იმ დროისთვის მეტ-ნაკლებად მომზადებული ვიქნები. მერე ფორმას ნელ-ნელა ავკრეფ.

- საანაკრებო პერსპექტივებზე რას იტყვი?

- მოკლედ ვიტყვი - კარგი გუნდი გვყავს და, ადრე თუ გვიან, შედეგიც ადეკვატური უნდა გვქონდეს.

- როგორ ფიქრობ, შენთან მიმართებაში ნაკრებში რამე ხომ არ შეიცვლება?

- მწვრთნელი წლეულსაც იგივეა და არა მგონია, რამე შეიცვალოს. ჩემს პოზიციაზე ზაზა ფაჩულია თამაშობს...

- სლოვენიაში გატარებული 7 წლის შემდეგ საქართველოში ერთი სეზონი ჩაატარე. ისევ ევროპაში გაქცევა ხომ არ მოგინდა?

- რატომ უნდა გავიქცე? იქაური და აქაური სიტუაციები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. სლოვენიაში დიდხანს ვთამაშობდი, მაგრამ ტიტულებამდე ვერ მივაღწიე. აქ კი პირველივე სეზონში ოქროს მედალი მოვიპოვე...

- სათამაშო თვალსაზრისით, ამ წელს რა დადებით და უარყოფით მხარეებს გამოყოფდი?

- უარყოფითზე ვერაფერს ვიტყვი. საერთოდ კი სეზონი წარმატებული იყო - სათამაშო დრო საკმარისად მქონდა და "აზოტის" ერთ-ერთ ლიდერად ვითვლებოდი. ხოლო როცა ბევრს თამაშობ, თანაც გადამწყვეტ მომენტებში, კლასი თავისთავად იხვეწება. სწორედ ამ თვალსაზრისით ვაფასებ ამ სეზონს დადებითად.

- "აზოტთან" კონტრაქტის ვადა ამოგეწურა?

- გუნდთან ერთწლიანი ხელშეკრულება მქონდა და ჩემპიონატის დასრულებასთან ერთად ისიც ამოიწურა.

- ახლა რას აპირებ?

- ჯერ არ გადამიწყვეტია.

- "აზოტში" დაბრუნებაზე არ ფიქრობ?

- სიმართლე გითხრა, ჯერ არ ვიცი რა ხდება გუნდში, რა გეგმები აქვთ და რას აპირებენ. შესაბამისად, არც ის ვიცი, გაისად რა შემადგენლობით ითამაშებენ. ამიტომ "აზოტში" დარჩენა-არდარჩენაზე საუბარი ნაადრევია.

- შენი აგენტი ალბათ ევროპულ ვარიანტებზეც მუშაობს...

- მან იცოდა, რომ რუსთავურ კლუბთან ერთწლიანი ხელშეკრულება მქონდა და სეზონის დასრულების შემდეგ ვთავისუფლდებოდი. მას სატრანსფერო საკითხებზე შეხსენებები არ სჭირდება. თუმცა ჯერ ახალი არც მისგან ისმის. კარგი იქნება, კონტრაქტის საკითხი ივლისში გადავჭრა, აგვისტოშიც არ იქნება მთლად დაგვიანებული, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ყველაფერი ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვსურს.

ვაჟა სიმონიშვილი

ხელბურთი

ლელოს თასი კავკასიის ლიგის ნაცვლად?

საქართველოს ხელბურთის ასოციაცია გამალებით მუშაობს ახლახან წამოწყებული პროექტის განხორციელებაზე. საუბარია "კავკასიის ლიგაზე", რომელსაც შემოდგომიდან უნდა ჩაეყაროს საფუძველი. ტურნირზე უნდა იასპარეზონ ორ-ორმა ქართულმა და აზერბაიჯანულმა და ერთმა სომხურმა კლუბმა. როგორც უკვე გითხარით, არც ის იყო გამორიცხული, რომ "კავკასიის თასის" ფორმატს ცვლილება განეცადა. საქართველოს ხელბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ გუშინ კიდევ ერთი სიახლე გაგვაცნო.

- 16 ივნისს თბილისში ჩამოვა სომხეთის ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი, მისი აზერბაიჯანელი კოლეგა 20-22 ივნისისთვის გვესტუმრება. სამწუხაროდ, მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ ტურნირზე სამივე ქვეყანამ ვითამაშოთ, ჩიხისკენ მიდის. სწორედ ამ საკითხის საბოლოოდ გასარკვევად ველით თბილისში მეზობლებს.

- კონკრეტულად, რაზე ვერ თანხმდებით?

- ერთადერთი, რაც საქმეს ართულებს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობაა. მართალია, დავპირდით, რომ ერთმანეთთან სტუმრობა არ მოუხდებოდათ და თბილისში ვათამაშებდით, მაგრამ მაინც ყოყმანობენ – ოფიციალური შეჯიბრება რომ იყოს, კი ბატონო, მაგრამ ჩვენს ქვეყნებს ისეთი მტრული ურთიერთობა აქვთ, რომ მეგობრულ ტურნირზე თამაშის დიდი სურვილი არ გვაქვსო.

- ანუ, "კავკასიის ლიგის" განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას?

- არა, იმედი ჯერ კიდევ არის. დაველოდოთ გენერალური მდივნების ჩამოსვლას. ერთია მინერ-მონერითა და ტელეფონზე ლაპარაკით გაკეთებული საქმე და სულ სხვაა, როცა ადამიანს პირადად ხვდები და ადგილზე აცნობ მდგომარეობას.

როგორც უნდა დასრულდეს მოლაპარაკება, აღნიშნული საკლუბო ტურნირი მაინც აუცილებლად უნდა დავიწყოთ ამ წელიწადსვე. სომხები თუ გვიგანებენ, აზერბაიჯანი თანახმაა. შესაბამისად, დავიწყებთ ჩვენ და აზერბაიჯანელები და მერე სხვა, უკეთესი ვარიანტიც გვაქვს.

- უკეთესი?

- უკეთესია, მაგრამ, ცოტა უფრო ძვირად ღირებული. მოკლედ, პირდაპირ გეტყვით – ამას წინათ, ველაპარაკე თქვენი გაზეთის მთავარ რედაქტორ თენგიზ გაჩეჩილაძეს. სიტყვიერი შეთანხმების დონეზე დავთქვით, რომ ვიფიქროთ ერთობლივი ტურნირის ჩატარებაზე, რომელსაც დავარქმევთ "ლელოს თასს". თუკი ეს პროექტი განხორციელდა, სომხეთისა და აზერბაიჯანის გარდა, მოვიწვევთ თურქეთის, რუსეთის, უკრაინის, ბულგარეთისა და ირანის კლუბებსაც. ამას გარდა, როგორც იცით, ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციასთან ვთანამშრომლობთ და იქაურების დაპატიჟებაც შეიძლება.

თუ ეს პროექტი განხორციელდა, ეს უკვე სერიოზული ტურნირი იქნება, რომელიც გახდება ტრადიციული და ჩაჯდება ევროპის ხელბურთის ფედერაციის ოფიციალურ შეჯიბრებათა კალენდარში. რასაკვირველია, აღნიშნული პროექტი საკმაოდ ძვირად ღირებულია, რასაც ჩვენი და თქვენი გაზეთის მოკრძალებული შესაძლებლობები ვერ გასწვდება. ამიტომ, ამ დღეებში, ვაპირებ შევხვდე ოლიმპიური ფონდის ხელმძღვანელობას.

კობა ხატისაშვილი

ძიუდო

ქალაქის მერმა ძიუდოისტები დააფასა

ქუთაისის ადგილობრივი თვითმართველობა ქალაქში ძიუდოს აღორძინებითაა დაინტერესებული. ბოლო დროს ძიუდოისტების მიმართ გამოვლენილი ყურადღებაც ამის დასტურია. გუშინ, ქუთაისის მერმა **ნიკო კაჭკაჭიშვილმა** ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე 1995-96-წლიანებში გამარჯვებული ქუთაისელი ძიუდოისტები მიიღო და დაჯილდოვა. მან სპორტსმენებს დახმარება მომავალშიც აღუთქვა.

ამასობაში, ჭიდაობის კომპლექსურ სკოლაში (№14) გაიმართა ქალაქის პირველობა 1997-98-99 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის, რომლის მთავარი მიზანიც სელექცია და ქალაქის ნაკრებისთვის ნიჭიერი ბავშვების გამოვლენა იყო. ტურნირზე გამარჯვება შემდეგმა სპორტსმენებმა მოიპოვეს: **ირაკლი კუხალაშვილი** (23 კგ.), **ალეკო სულაკაძე** (26 კგ.), **ჯაბა ქურდიანი** (29კგ.), **გოგი ტყეშელაშვილი** (32კგ.), **გაგა გოდუაძე** (35კგ.), **პაატა ტოგონიძე** (38), **ბაჩუკი მინდიაშვილი** (42), **გიორგი ავალიანი** (46)

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

თაბილი

დავით კილასონია. დაიბადა 14.06.-1951, თბილისი. რაგბი. თამაშობდა თბილისის "ლოკომოტივსა" და სსრკ ნაკრებში. სსრკ ჩემპიონატის სამგზის მესამე პრიზიორი (1972, 78, 81) და თასის მფლობელი (1978). იყო "ლოკომოტივისა" და "შევარდნაძის" მწვრთნელი, საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი (1986-93). საქართველოს ნაკრების პირველი მწვრთნელი (1989-90). ღირსების ორდენის კავალერი.

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს სამშოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, გიორგი გოგუაძეს მამის
ვახტანგ გოგუაძის
გარდაცვალების გამო

NBA. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. III ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲩᲐ ᲙᲘᲜᲝ



ლებრონის ბოლო არაზუსტი სამქულიანი

ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ-ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ 72:75

18:16, 20:24, 12:15, 22:20

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (25 ქ. 8 მ. 7 პ. 2 ჩ), გუდენი (13 ქ. 10 მ), პავლოვიჩი (13 ქ. 3 პ), ილგაუსკასი (12 ქ. 18 მ), ვარეჟაო (4 ქ. 4 მ. 2 ჩ. 2 დ), დ. ჯოუნსი (3 ქ. 2 პ), გიბსონი (2 ქ.), სნოუ (უქულოდ, 5 პ), დ. მარშალი.

სან ანტონიო: ტ. პარკერი (17 ქ. 5 მ. 3 პ), დანკანი (14 ქ. 9 მ. 3 პ. 2 დ), ბ. ბოუენი (13 ქ. 9 მ), ბ. ბერი (9 ქ), ფინლი (7 ქ. 4 ჩ), ობერტო (6 ქ. 4 მ), ჯინობილი (3 ქ. 5 პ. 4 მ), ორი (3 ქ. 5 მ. 2 პ), ვონი (2 ქ), ელსონი (1 ქ).

ᲡᲔᲠᲘᲐ 0:3

ᲙᲘᲓᲔᲕ ერთი ჩაგდებული მატჩი და კიდევ ერთხელ იმის დასტური, რომ **ლებრონ ჯეიმსი** უსაშველოდ შორსაა იმ დომინანტისგან, რომელსაც მთელი ამერიკა არა მარტო "კავალიერსის", არამედ მთელი NBA-ის მომავალს უკავშირებს. ნიჭი არ აკლია, აკეთებს იმას, რაც **კობი ბრაიანტისთვისაც** კი მიუღწეველია, მაგრამ ლებრონი ჯერ მაინც გამოსათლელია, იქამდე კი, მან და მისმა გუნდმა სუპერფინალის ფავორიტისგან კიდევ ერთი და ალბათ, გადამწყვეტი ალიყური მიიღეს, სერიას კი წერტილი ან შემდეგ, ან კიდევ იმის მერე გასამართ დაპირისპირებაში უნდა დაესვას.

"სპურსმა" თავისი დიდი სამეულის ორი წევრის, **ტიმ დანკანისა** და **მანუ ჯინობილის** ძალიან სუსტი თამაშის მიუხედავად მოიგო . რაც შეეხება **ტონი პარკერს,** მან კარგად ჩაატარა მეორე მეოთხედის ბოლო 4 წუთი და ბოლო 12-წუთიული, მატჩის დარჩენილი დრო კი, ფრანგი ფლეიმეიქერისთვისაც დროის ფუჭად ფლანგვა იყო.

მატჩი ორივე გუნდმა მძიმედ დაიწყო. "კავალიერსის" მაღლები დანკანსა და **ფაბრიციო ობერტოს** მოხსნაზე შანსს არ უტოვებდნენ და ამის ხარჯზე მასპინძლები პირველ მეოთხედში მუდმივად წინ იყვნენ. **ჟიდრუნას ილგაუსკასმა** დანკანთან სანყისი 4 წუთი რომ მთლიანად დათმო (ტიმის ანგარიშზე ამ მონაკვეთში 8 ქულა მოვიდა), მერე და მერე გააქტიურდა და "სპურსის" ვარსკვლავს პრობლემები ორივე ფართან შეუქმნა - ლიტველი დროულად ადიოდა პერიმეტრზე, იგივეს გაკეთებას დანკანი, მაინცა და მაინც, არ ჩქარობდა, რადგან **ბრიუს ბოუენს** ლებრონის აყვანისას უნდა დახმარებოდა. ხოლო მაშინ, როდესაც ილგაუსკასი სამწამიანში რჩებოდა, ლიტველს მაგრადაც უმართლებდა და შედეგად, პირველ ნახევარში "კავალიერსის" ხანგრძლივი ლიდერობა სწორედ ამ ზორბა კაცის კარგმა გამოსვლამ განაპირობა.

ძალიან კარგი იყო ბოუენი, რომელიც აღნიშნული შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ უნდა მივიჩნიოთ. ბრიუსმა ერთხელ გარისკა და საშუალო მანძილიდან ისროლა (ცხადია, არაზუსტად), სხვა დროს კი, თუ ბურთს "კავალიერსის" კალათისკენ უშვებდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ, სამიანიდან ხდებოდა. ბრიუსმა ამ მატჩში 5 შორეული სროლა შეასრულა და მხოლოდ ერთხელ ვერ ივარგა, მისი ვიზავი ჯეიმსი კი, დაცვაში ოფლს ნაღდად არ ღვრიდა, რაც "კავალიერსს" საბოლოოდ ძვირად დაუჯდა.

ბოუენი ლებრონს დაცვაში კვლავ წამით არ შორდებოდა და ამჯერადაც ძალიან აწვალა იგი. ამ უკანასკნელმა საბოლოოდ 23 სროლიდან 14 გააფუჭა და ბოლო ორი, გადამწყვეტი შეტევა ჩაუგდო გუნდს.

ბოლო წამებზე, ლებრონმა მინუს 2-ზე სროლა ვერ გაბედა და ბურთი დანკანის მეურვეობის ქვეშ მყოფ **ანდერსონ ვარეჟაოს** "შეტენა", რომელმაც რკინის რკალსაც კი ვერ დაუმიზნა, ბურთი ტიმმა მოხსნა და უმალვე მანუს გადაანოდა. იმ მომენტისთვის არგენტინელი ვარსკვლავის ანგარიშზე 0(!) ქულა და შვიდიე გაფუჭებული ტყორცნა იყო. ჯინობილიმ ერთი ჯარიმა გამოიყენა და ცხადია, **მაიკ ბრაუნმა** წუთშესვენება მოითხოვა.

თამაშის დასრულებამდე 6 წამი რჩებოდა და ლებრონმა სადღაც 9(!) მეტრიდან ისროლა, ვერ ჩააგდო, ხოლო დარჩენილ 2 წამში კი აღარაფერი შეცვლილა, რამაც თითქოსდა დრამატული ფინალი ფორმალობად აქცია, დანკანმა კი მატჩი 17 სროლიდან მხოლოდ 6 ზუსტი ტყორცნით ჩაამთავრა.

ამ მატჩის მთავარი ანტიგმირი კი "კლივლენდის" მსროლელი **დანიელ გიბსონი** გახდა, რომელიც ბრაუნმა ტრავმირებული **ლარი ჰიუზის** ნაცვლად (ამ უკანასკნელს საერთოდ არ უთამაშია) სასტარტო ხუთეულში დააყენა. გიბსონმა ძალიან არაზუსტად ისროლა და შეხვედრა 10-დან ერთი ზუსტი სროლითა და 5 გაფუჭებული სამქულიანით დაასრულა.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ATP

Gerry Weber Open

ᲰᲐᲚᲔ (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ). ᲑᲐᲚᲐᲮᲘ

ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 680 250 ᲔᲕᲠᲝ

I ᲜᲐᲮ

ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 2)-იურგენ მელცერი (ავსტრია) 7:6 (6), 4:6, 6:2; **აისამ-პაკ ქურეში (პაკ)**-რიშარ გასკე (საფ, 5) 7:6 (8), 6:4; **მარკე ფიკელი (საფ)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 7) 5:7, 6:2, 6:4; **სიმონ სტადლერი (გერ)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:4, 7:6 (5); **იარო ნიემინენი (ფინ)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 6:3, 6:1; **ფაბრის სანტორო (საფ)**-უესლი მუდი (ს. აფრ) 6:3, 7:6 (9); **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-რაიმონ სლუიტერი (ჰოლ) 7:6 (5), 7:5; **ანდრეი პაველი (რუმ)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:3, 7:6 (5); **ფლორიან მაიერი (გერ)**-მიხაელ კოლმანი (გერ) 7:6 (4), 7:5.

The Artois Championships

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ). ᲑᲐᲚᲐᲮᲘ

ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 680 250 ᲔᲕᲠᲝ

I ᲜᲐᲮ

ივო კარლოვიჩი (ხორ)-მარდი ფიში (აშშ, 9) 6:3, 6:4; **რობერტ კენდრიკი (აშშ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 7:6 (5), 7:6 (8); **ფლორან სერა (საფ)**-ამერ დელიჩი (აშშ) 6:7 (5), 6:4, 6:4; **ფრანკ დანჩევიჩი (კან)**-სერხიო როიტმანი (არგ) 6:3, 6:7 (5), 6:1; **სებასტიან გროსჯანი (საფ)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:4, 6:2; **ჯოვეიფრედ ცონგა (ბრიტ)**-კრისტიან პლესი (დან) 7:6 (2), 6:0; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-ტიმ ჰენმანი (ბრიტ) 7:6(5), 2:6, 6:4; **გალე მონფილსი (საფ)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:3, 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-დუშან ვემიჩი (სერ) 4:6, 6:3, 7:5.

II ᲜᲐᲮ

ენდი როდიკი (აშშ, 2)-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 6:4, 6:4; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 5)**-დანაი უდომჩოკე (ტაილ) 6:3, 6:4.

WTA

DFS Classic

ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲔᲛᲘ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ). ᲑᲐᲚᲐᲮᲘ

ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 200 000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ

I ᲜᲐᲮ

ანჯელიკ კერბერი (გერ)-ოლგა პუჩკოვა (რუს, 11) 6:0, 6:0; **ალუმა მორატა (იან)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4, 6:1; **ალისია მოლიკი (ავსტრა)**-სეზერინ ბრეგმონი (საფ) 4:6, 6:3, 6:4; **ვანია კინგი (აშშ)**-ბრენდა შულც მაკარტი (ჰოლ) 7:6 (7), 7:6 (7); **მილაგროს სეკერა (ეკუ)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:4, 1:6, 7:5; **ნათალი კავადი (ბრიტ)**-ვასილისა ბარდინა (რუს) 6:2, 6:1; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-ენ კეოტავონგი (ბრიტ) 2:6, 6:2, 6:4; **იულ-იან ჩანი (ჩინ)**-ჯანეკა ჯექსონი (აშშ) 6:3, 6:1.

II ᲜᲐᲮ

დანიელა პანტუხოვა (სლოვაკ, 3)-ოლგა გოვორცოვა (ბელრ) 6:2, 6:4; **ნა ლი (ჩინ, 4)**-იაროსლავა შვედოვა (რუს) 4:6, 6:2, 6:0; **ელენა ლიხოვცევა (რუს)**-იანიეშკა რადვანსკა (ჰოლ, 12) 7:5, 7:6 (4); **ელენი დანილიდუ (საბ, 15)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 6:4, 6:4; **მარია კირილენკო (რუს, 16)**-ნატალი დემი (საფ) 5:7, 6:2, 6:0.

Barcelona KIA

ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ). ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ

ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 145 000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ

I ᲜᲐᲮ

ალა კუდრიავცევა (რუს)-მარტინა მიულერი (გერ, 2) 6:3, 6:4; **კაია კანეპი (სტტ, 4)**-კარინ ნნაი (იტა) 6:2, 7:6 (7); **ლურდეს დომინგესი (ესპ, 5)**-გრეტა არნი (ვერ) 6:2, 6:4; **ვირჯინ რაზანო (საფ, 7)**-ჯულია შრუფი (გერ) 7:6 (6), 3:6, 6:0; **ფლავია პენეტა (იტა, 8)**-კრისტა მარტინეს გრანდოსი (ესპ) 6:2, 6:3; **მელინდა ჩინკი (უნგ)**-კატალინა კასტანო (კოლ) 6:2, 6:3; **ემილია სალერნი (არგ)**-ეკატერინა ძეპალეკინი (ბლრ) 6:3, 7:5; **აგნეს შავაი (უნგ)**-ტატიანა პუტჩეკი (ბლრ) 6:3, 7:5; **კამილ პინი (საფ)**-იულენა კოსტანიჩი (ხორ) 6:1, 6:1; **ლაურა პოუს ტიო (ესპ)**-სანდრა კლოზელი (გერ) 6:3, 7:6 (5).

TV ᲡᲐᲛᲘᲠᲝ

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

HTB-ᲙᲚᲣᲑᲘ (ᲣᲪᲮᲝᲑᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. I მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-გრემიო (ბრაზილია).
14:10 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ისრაელი-ბელგია. ჰოლანდია.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ჰოლანდია-პორტუგალია. ჰოლანდია.
18:05 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:35 უოქნდის მატჩების ანონსი.
19:45 ტოქ-შოუ - 2:1.
20:30 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. I მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-გრემიო (ბრაზილია).
22:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:40 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ჩეხეთი-სერბეთი. ჰოლანდია (LIVE).
00:40 სასტვენი.
01:10 ტოქ-შოუ - 90 წუთი.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ)

07:06 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
08:50 სპორტინფორმი.
09:00 ცურვა. Fina Mare Nostrum. ბარსელონა. ესპანეთი.
11:16 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
13:13 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:05 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. აშშ.
16:06 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია).
18:50 სპორტინფორმი.
19:00 ცურვა. Fina Mare Nostrum. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
21:30 სპორტინფორმი.
21:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. I მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-გრემიო (ბრაზილია).
23:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
00:00 სპორტინფორმი.
00:10 კრივი. ნოკაუტების ჯამი.
01:00 სპორტინფორმი.
01:10 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
03:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:03 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია).
05:48 კრივი. ნოკაუტების ჯამი.
06:38 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ცხენოსნობა. სუპერლიგა. სტ. გალენი. მეეიცარია.
12:00 სპიდვეი. შვედეთის გრან-პრი.
13:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". III ეტაპი. საფრანგეთი.
14:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
17:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". IV ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:30 პროფესიული კრივი.
00:30 ბრძოლა ნესიბის გარეშე.
02:30 სნუკერი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ფეხბურთი. სონი ანდერსონის იუბილესადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი. ლიონი. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. არიზონა-ლოს ანჯელესი.
17:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
18:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
21:00 სერფინგი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ჩინეთი-ჰონლონეთი. ჩინეთი.
23:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. საფრანგეთი-აშშ. საფრანგეთი.
00:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. არიზონა-ლოს ანჯელესი.
02:15 ახალი ამბები.

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝ 2007

UNDER 21

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ-ᲑᲔᲚ�გᲘᲐ	0:1
ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ-ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ	2:1

ᲓᲐᲜᲘᲐ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲐᲚᲐᲓᲔᲛᲘᲡᲘ-ᲤᲠᲔᲒᲚᲘ	3:2
ᲐᲒᲣ ᲝᲠᲐᲣᲡᲘ-ᲝᲚᲡᲒᲘᲐᲢ	3:1

ᲨᲕᲔᲓᲣᲚᲘ ᲗᲐᲡᲘ

ᲕᲐᲡᲑᲘ-ᲓᲔᲒᲔᲠᲤᲝᲠᲒᲘ	2:0

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ᲛᲘᲣᲚᲐ-ᲒᲐᲠᲘᲒᲣᲐᲜᲘ	0:0

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲕᲐᲚᲣᲠᲘ-ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲣᲠᲘ	3:1

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲘᲙᲝᲡᲘ-ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲙᲝᲡᲘ	Ო.Გ. 86:85

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲛᲘᲜᲒᲔᲩᲐᲣᲠᲘ-ᲕᲘᲠᲒᲘᲡᲘ	81:71

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲙᲐᲚᲔ

ᲑᲔᲠᲓᲘᲩᲘ-სანტორო	6:3, 7:6
ᲙᲝᲚᲨᲠᲐᲘᲑᲔᲠᲘ-კიურეში	6:4, 6:3
ᲑᲚᲔᲘᲙᲘ-კოროლიოვი	7:5, 6:1
ᲘᲣᲜᲔᲜ-სტადლერი	6:4, 1:6, 6:3

ATP. ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ-ბეიკერი	4:6, 7:6, 6:3
ᲒᲣᲩᲘᲝᲜᲔ-ᲙᲚᲔᲛᲐᲜᲘ	4:6, 4:6
ᲯᲝᲙᲝ�ვᲘᲩᲘ-კენდრიკი	3:6, 6:3, 6:2
ᲤᲐᲚᲐ-ᲩᲘᲚᲘᲩᲘ	3:6, 4:6
მონფილსი-ᲛᲘᲠᲜᲔ	7:6, 2:6, 5:7
ᲑᲘᲝᲠᲙᲛᲐᲜᲘ-ᲛᲐᲣ	3:6, 7:6, 3:6
�გᲝᲜᲡᲐᲚᲔᲡᲘ-ᲢᲘᲞᲡᲐᲠᲔᲕᲘᲩᲘ	7:6, 4:6, 7:6
ᲚᲝᲓᲠᲐ-ᲛᲐᲢᲘᲝ	6:7, 0:6
ᲜᲐᲓᲐᲚᲘ-დელ პოტრო	6:4, 6:4
ᲯᲘᲜᲘᲞᲠᲘ-სერა	6:4, 7:6
ᲙᲐᲠᲚᲝᲕᲘᲩᲘ-კუზნეცოვი	2:6, 6:2, 7:6
ᲢᲣᲠᲡᲣᲜᲝᲕᲘ-დანჩევიჩი	7:5, 6:1
ᲰᲘᲣᲘᲢᲘ-ᲪᲝᲜᲒᲐ	6:7, 6:7
გროსჯანი-საფინი	ᲨᲔᲬᲧᲓᲐ

WTA. ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ

პოუს ტიო-ᲨᲝᲜᲔᲡᲘ	5:7, 4:6
ᲠᲐᲖᲐᲜᲝ-ჩინკი	7:6, 3:6, 6:2
ᲚᲣᲐ-პინი	6:1, 6:1
გალიარდი-ᲙᲣᲓᲠᲘᲐᲕᲪᲔᲕᲐ	0:6, 4:6
ᲰᲔᲜᲔᲗᲐ-მალეკი	6:3, 6:4
დომინგეს ლინო-ᲒᲐᲚᲝᲕᲘᲢᲪᲘ	4:6, 2:6
სალერნი-ᲙᲐᲜᲔᲞᲘ	3:6, 0:6
სკიავონი-ᲨᲐᲕᲐᲘ	1:6, 1:6

WTA. ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲔᲛᲘ

ᲕᲐᲙᲣᲚᲔᲜᲙᲝ-კლეპაჩი	6:4, 6:7, 6:3
ᲡᲐᲜᲢᲐᲜᲯᲔᲚᲝ-მირზა	6:3, 3:6, 7:6
ტუ-ᲠᲐᲨᲔᲙᲘ	2:6, 6:7
ᲤᲔᲓᲐᲙᲘ-სეკერა	3:6, 6:4, 6:3
ᲘᲐᲜᲙᲝᲕᲘᲩᲘ-პირონკოვა	6:4, 6:1
Ა. ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲒᲙᲝ-ჩანი	6:3, 6:4
მოლიკი-ᲙᲘᲜᲒᲘ	6:7, 4:6
როული-ᲙᲔᲠᲑᲔᲠᲘ	4:6, 1:6
სუგიამა-ᲛᲝᲠᲘᲢᲐ	4:6, 6:1, 2:6
ᲨᲐᲠᲐ�პᲝᲕᲐ-ოსტერლო	6:4, 6:0
ᲑᲐᲠᲢᲝᲚᲘ-კავადი	6:3, 6:1

ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

ᲞᲐᲞᲐᲚᲣᲙᲐᲡᲗᲐ NBA ᲐᲘᲠᲩᲘᲐ

ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲙᲚᲣᲑᲡ ᲛᲙᲐᲪᲠ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡ ᲣᲧᲔᲜᲔᲑᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲘᲪᲘᲗ, ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲛᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲫᲘᲝᲗᲐᲯᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲪᲡᲙᲐ-Ს ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ***ტᲝᲛ ᲞᲐᲞᲐᲚᲣᲙᲐᲡᲗᲐᲡ*** *ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲘ. ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ NBA-Ს ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲚᲣᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲛᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ ᲓᲐᲜᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲪᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲪᲘᲪᲕᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜ - ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝᲗ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲜ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲚᲛᲐ ᲒᲐᲛᲒᲐᲖᲐᲕᲠᲔᲑᲚᲘᲧᲝᲗ.*

ᲓᲐᲐᲑᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲝᲠᲙᲕᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲞᲐᲞᲐᲚᲣᲙᲐᲡᲗᲐ ᲘᲧᲝ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲪᲡᲙᲐ-Ს ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ***ტᲝᲛ ᲞᲐᲞᲐᲚᲣᲙᲐᲡᲗᲐᲡ*** *ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲘ. "ᲯᲐᲕᲐᲚᲘᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ" ᲛᲐᲚᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲙᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲤᲚᲔᲘᲛᲔᲘᲥᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲐ. ᲗᲣ ᲝᲚᲘᲜᲓᲐᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲡᲔᲗ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲔ ᲖᲝᲜᲨᲘ 50-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲒᲔᲑᲓᲐ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐ ᲖᲠᲓᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲕᲐᲠ - ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲐᲫᲕᲡ. ᲗᲣ ᲝᲙᲘᲐᲜᲔᲡ ᲒᲐᲚᲛᲐ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲛᲘᲕᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲑᲘ," - ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲞᲐᲞᲐᲚᲣᲙᲐᲡᲗᲐ.*

"ᲣᲙᲕᲔ ᲕᲐᲬᲐᲠᲓᲠᲝᲗ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ NBA-ᲘᲡ 12 ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ - "ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ", "ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ", "ᲛᲐᲘᲐᲛᲘ", "ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ" ᲓᲐ "ᲓᲐᲚᲐᲡᲘ". ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲐᲗ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲪᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲐᲡᲘᲗᲝᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲛᲘᲕᲘᲦᲝ. ᲗᲐᲜᲐᲪ. ᲡᲐᲑᲠᲗᲕᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲛᲓᲔ ᲓᲘᲓᲘᲝᲜ ᲓᲠᲝ ᲠᲩᲔᲑᲐ", - ᲘᲥᲕᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲔᲕᲠᲝᲑᲐᲡᲙᲔᲢᲘ 2007. ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲚᲘᲢᲕᲐᲛ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲔᲑᲘ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲐ

ᲒᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲐᲫᲕᲗ

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა იმ კალათბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც სექტემბერში, ესპანეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის დაიწყებენ მზადებას. აგრეთვე ცნობილი გახდა ლიტველთა მეორე ნაკრების შემადგენლობაც, რომელიც, თავის მხრივ, აგვისტოში, ბანგ

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲩᲔᲚᲘᲝᲡᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ, ᲠᲐᲡ ᲘᲖᲐᲛᲡ ᲰᲐᲨᲔᲙᲘ?

45 წლის ვეტერანი ჰოკეისტი **კრის ჩელიოსი** ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კიდევ ერთ სეზონს ჩაატარებს. "დეტროიტ რედ უინგზის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამერიკელი მცველი გაისადაც ამ გუნდის ღირსებას დაიცავს.

მომავალი სეზონი ჩელიოსისთვის 24-ე იქნება NHL-ში. სულ მას რეგულარულ ჩემპიონატში 1547 მატჩი აქვს ჩატარებული. კრისის ანგარიშზე 182 შაიბა და 754 შედეგიანი გადაცემა მოდის.

თუ ჩელიოსმა უკვე გაარკვია თავისი მომავალი, არჩევანის წინაშე დგას "დეტროიტის" კიდევ ერთი ვეტერანი **დომინიკ ჰაშეკი**. "რედ უინგზში" იმედოვნებენ, რომ ჩეხი მეკარე ამ კვირის ბოლოს მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას - გააგრძელოს კარიერა თუ მეორედ წავიდეს დიდი სპორტიდან.

"ჩვენ სწრაფად უნდა გავიგოთ, თუ რას აპირებს ჰაშეკი. გვინდა, რომ მან "დეტროიტში" კიდევ ერთი წელი ითამაშოს, მაგრამ წინასწარ რაიმეს თქმა ჯერ შეუძლებელია", - აცხადებს "დეტროიტის" გენერალური მენეჯერი - **კენ ჰოლანდი**.

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝᲛ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲭᲝᲕᲐ

ᲩᲔᲚᲘᲝᲡᲘᲡ მსგავსად, კიდევ ერთი წელი ითამაშებს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში შვედი **მატს სუნდინი**. "ტორონტოს" კაპიტანმა ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი კანადურ კლუბთან და გაისად, ხელფასის სახით 5.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

კლუბსა და ჰოკეისტს შორის მოლაპარაკებები დაახლოებით ერთ თვეს გაგრძელდა და საბოლოოდ, მხარეები კომპრომისამდე მივიდნენ. სხვათა შორის, ახალ კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, "ტორონტოს" შეფობას სუნდინის სხვა გუნდში გაცვლა ეკრძალება.

შეგახსენებთ, რომ სუნდინი "მეიპლ ლივზში" 1994-95 წლების სეზონიდან თამაშობს. ბოლო 11 წელიწადია, მას რეგულარულ ჩემპიონატში არასოდეს დაუგროვებია 72 ქულაზე ნაკლები. გასულ სეზონში, შვედი ფორვარდის მონაგარმა 75 მატჩში 76 ქულა (27 გოლი+49 პასი) შეადგინა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲙᲔᲘᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

სულ მალე, NHL-ში ახალბედების ყოველწლიური დრაფტი გაიმართება. წამყვანი ამერიკული და კანადური საინფორმაციო საშუალებების აზრით, წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი, მარჯვენა გარემარბი **პატრიკ კეინი** იქნება, რომელიც გასულ სეზონში ონტარიოს ჰოკეის ლიგაში თამაშობდა, სადაც კლუბ "ლონდონის" ღირსებას იცავდა. ნორჩმა ამერიკელმა 145 ქულა (62 გოლი+83 პასი) დააგროვა და ლიგის საუკეთესო ჰოკეისტის ტიტულიც მოიპოვა.

აქვე შეგახსენებთ, რომ წლეულს, დრაფტის პირველი ნომრის არჩევის უფლება "ჩიკაგო ბელკჰოქსს" ერგო წილად.

ᲑᲐᲤᲐᲚᲝᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲠᲐᲤᲘ ᲒᲐᲬᲕᲠᲗᲘᲜᲘᲡ

საᲐᲒᲔᲜᲢᲝ AP სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ "ბაფალოს" მთავარი მწვრთნელი - **ლინდი რაფი** კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

ოფიციალურად ეს ინფორმაცია ამ კვირის ბოლოს გახდება ცნობილი. როგორც იცით, რაფი წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდებაზე აცხადებს პრეტენზიას. რეგულარულ ჩემპიონატში "ბაფალომ" პირველი ადგილი დაიკავა, ფლეი ოფში კი, ალმოსავლეთი კონფერენციის ფინალში გავიდა, სადაც 5 მატჩში წააგო სერია "ოტავა სენატორზთან".

ᲑᲔᲢᲛᲔᲜᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲛᲝᲣᲛᲐᲢᲔᲡ

ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ეროვნული ლიგის კლუბების მფლობელებმა, NHL-ის კომისარ **გერი ბეტმენისთვის** ხელფასის 2 მილიონი დოლარით მომატება გადაწყვიტეს. ასე რომ, მომავალი სეზონიდან, ლიგის ხელმძღვანელი წლიურად 5.9 მილიონ დოლარს მიიღებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბეტმენს ამ პოსტის დატოვება მოუხდა, მას პენსიის სახით შემოსავალი წლიური 400 ათასი დოლარი ექნება.

ᲙᲐᲚᲗᲝᲑᲣᲠᲗᲘ

ᲤᲘᲚ ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ

საᲐᲒᲔᲜᲢᲝ "როიტერის" ინფორმაციით, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა - ფილ ჯექსონმა მარცხენა ბარძაყის ოპერაცია გაიკეთა.

61 წლის სპეციალისტისთვის ეს მეორე ქირურგიული ჩარევაა ბოლო 8 თვის განმავლობაში. დეკემბერში, ჯექსონმა ანალოგიური ოპერაცია გაიკეთა, ოღონდ მარჯვენა ბარძაყზე.

როგორც "ლეიკერსის" შტაბიდან იტყობინებიან, მთავარი მწვრთნელი თავისი მოვალეობების შესრულებას სექტემბრიდან შეუდგება.

ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲨᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲐᲤᲦᲐ

NBA-ᲘᲡ ფინალურ სერიაში "კლივლენდ კავალიერზის" წარუმატებელი თამაშის გამო, კლივლენდში ჩასატერებელ მატჩებზე დასასწრები ბილეთების ფასი მკვეთრად დაეცა. სერიის დაწყების წინ, ყველაზე იაფი ბილეთი 325 დოლარი ღირდა, ყველაზე ძვირი - 15 ათასი. ახლა კი, ეს ფასები შესაბამისად 147 და 6 500 დოლარამდე ჩამოვიდა.

შეგახსენებთ, რომ "სან ანტონიო" 3:0 უგებს "კავალიერზს" და შესაძლოა, კლივლენდში გასამართი მეოთხე შეხვედრა, ბოლო აღმოჩნდეს ამ სერიაში.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲫᲠᲝᲮᲐ ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲮᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲫᲠᲝᲕᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ცნობილი გახდა, რომ რუსი ჩოგბურთელი **ანასტასია მისკინა** "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირს, უიმბლდონს გამოტოვებს.

საფრანგეთის ღია პირველობის ყოფილი ჩემპიონის უთამაშებლობის მიზეზი არ სახელდება, მაგრამ სავარაუდოდ, ეს მისკინას ცუდი სპორტული ფორმა უნდა იყო. რუსმა ამ სეზონში მხოლოდ ორი მატჩი ითამაშა და ორივე წააგო. ცოტა ხნის წინათ, "როლან გაროსის" პირველ წრეში საკუთარ მარცხს მისკინამ ასეთი კომენტარი გაუკეთა - დღეს კორტზე ძროხას ვგავდიო.

დღეისთვის, მისკინა WTA-ს კლასიფიკაციაში 76-ე ადგილს იკავებს.

13 ᲣᲐᲘᲚᲓ ᲥᲐᲠᲓᲘ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, უიმბლდონის ორგანიზატორებმა იმ 13 ჩოგბურთელის გვარი დაასახელეს, რომლებმაც ამ ტურნირის "უაილ-ქარდები" მიიღეს.

ვაჟებს შორის, ასეთი ექვსი მოთამაშეა: **ჯიმი ბეიკერი, რიჩარდ ბლუფილდი, ალექს ბოგდანოვიჩი, ჯოშუა გუდოლი, ჯონათან მიურეი** (ყველა - ბრიტანეთი) და **ტიემო დე ბაკერი** (ჰოლანდია).

ქალთა შორის, სხვებზე იღბლიანები აღმოჩნდნენ: **ელენა ბალტაჩა, ნაომი კავადაი, ენ კეოტავონგი, მელანი საუფი** (ყველა - ბრიტანეთი), **ანასტასია პავლიუჩენკოვა** (რუსეთი), **ვიქტორია კუტუზოვა** (უკრაინა) და **კაროლინ ვოზნიაცკი** (დანია).

უაილდ-ქარდის კიდევ სამი მფლობელის (ერთი ქალი და ორი მამაკაცი) ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

NHL ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘ

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ

ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲔᲚᲘᲐ

კᲠᲝᲡᲑᲘᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲘᲒᲝ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ იმ ჰოკეისტების სია გამოაქვეყნა, რომლებიც სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან პრიზებზე აცხადებენ პრეტენზიას.

თითოეულ ნომინაციაში სამ-სამი მოთამაშეა დასახელებული. ეს წესი, მხოლოდ წლის საუკეთესო მეკარის პრიზის ნომინაციაში დაირღვა, სადაც პირველობისთვის პრეტენზიას სამის ნაცვლად, ოთხი გოლკიპერი აცხადებს: **მარტინ ბროდო** ("ნიუ ჯერსი"), **რობერტო ლუონგო** ("ვანკუვერი"), **მიკა კიპრუსოფი** ("კალგარი") და **ჰენრიკ ლუნდკვისტი** ("რეინჯერსი").

საინტერესოა, რომ ნომინანტებს შორის მხოლოდ სამი ჰოკეისტი ჰყავს წარმოდგენილი სტენლის თასის ახალ მფლობელს "ანაჰაიმ დაქსს". ორი მათგანი - **სკოტ ნიდერმაიერი** და **კრის პრონგერი** საუკეთესო მცველის ტიტულზე აცხადებენ პრეტენზიას, ხოლო **სამუელ პალსონს** დაცვითი სტილის საუკეთესო ფორვარდის პრიზის მოპოვების შანსი აქვს. როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილებებით ლიგამ ხაზი გაუსვა NHL-ში საუკეთესო დაცვის მქონე გუნდის თამაშის სტილს.

სრული სიის გაცნობამდე დავამატებთ, რომ სეზონის რამდენიმე პრესტიჟულ პრიზს უკვე ჰყავს თავისი პატრონი. საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი ჯილდო **სიდნი კროსბიმ** ("პიტსბურგი") მიიღო, საუკეთესო სნაიპერისა - **ვენსან ლეკავალიემ** ("ტამპე ბეი"), ხოლო Conn Smythe Trophy (ფლეი ოფის საუკეთესო მოთამაშე) იმავე სკოტ ნიდერმაიერს გადაეცა.

Hart Memorial Trophy (სეზონის საუკეთესო მოთამაშე - MVP): სიდნი კროსბი ("პიტსბურგი"), რობერტო ლუონგო ("ვანკუვერი"), მარტინ ბროდო ("ნიუ ჯერსი");

Calder Trophy (საუკეთესო დებიუტანტი): ევგენი მალკინი, ჯორდან სტაალი (ორივე - "პიტსბურგი"), პოლ შჩასტნი ("კოლორადო");

Norris Trophy (საუკეთესო მცველი): ნიკლას ლიდსტრიომი ("დეტროიტი"), სკოტ ნიდერმაიერი, კრის პრონგერი (ორივე - "ანაჰაიმი");

Vezina Trophy (საუკეთესო მეკარე): მარტინ ბროდო ("ნიუ ჯერსი") , რობერტო ლუონგო ("ვანკუვერი"), მიკა კიპრუსოფი ("კალგარი"), ჰენრიკ ლუნდკვისტი ("რეინჯერსი");

Lester B. Pearson Award (ჰოკეისტების ვერსიით საუკეთესო მოთამაშე): სიდნი კროსბი ("პიტსბურგი"), რობერტო ლუონგო ("ვანკეუვერი"), ვენსან ლეკავალიე ("ტამპე ბეი");

Jack Adams Award (საუკეთესო მწვრთნელი): ლინდი რაფი ("ბაფალო"), მიშელ ტერიენი ("პიტსბურგი"), ალენ ვინიალი ("ვანკუვერი");

Lady Byng Memorial Trophy (ჯენტლმენი ყინულზე): პაველ დაციუკი ("დეტროიტი"), ჯო საკიკი ("კოლორადო"), მარტინ სენტ ლუისი ("ტამპა ბეი");

Frank J. Selke Trophy (დაცვითი სტილის საუკეთესო ფორვარდი): როდ ბრინდამორი ("კაროლინა"), სამუელ პალსონი ("ანაჰაიმი"), ჯეი პანდოლფო ("ნიუ ჯერსი").

პრიზების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი ტორონტოში, ხვალ გამთენიისას გაიმართება.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1. ᲛᲐᲙᲚᲐᲠᲔᲜ ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘ

ᲰᲔᲛᲘᲚᲢᲝᲜᲘ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘᲐ

ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲐᲚᲝᲜᲡᲝᲡ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** ღიად გამოხატა თავისი უკმაყოფილება, "მაკლარენ მერსედესში" საკუთარი მდგომარეობის გამო.

სამშაბათს, რადიოსადგურ Cadena Ser-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, ესპანელმა პილოტმა ბრიტანული საჯინიბოს ხელმძღვანელობა გააკრიტიკა. ალონსოს უკმაყოფილების მიზეზი ის არის, რომ "მაკლარენში" ფერნანდოს თანაგუნდელი - **ლუის ჰემილტონი** უფრო მომგებიან სიტუაციაში იმყოფება, ვიდრე თავად მოქმედი ჩემპიონი.

ალონსომ ეს განცხადება კანადის გრან-პრის შემდეგ გააკეთა, სადაც 22 წლის ჰემილტონმა კარიერაში პირველად მოიგო ჯერ საკვალიფიკაციო რბოლა და შემდეგ - გრან-პრი.

"აქ მოსვლის პირველივე დღიდან თავს არც ისე კომფორტულად ვგრძნობდი. ეს ინგლისური გუნდია, ჩემი პარტნიორიც - ინგლისელია. ამიტომაც გასაგებია, თუ რატომ ეხმარებიან მას უფრო მეტად. თავიდან გადავწყვიტე, რომ ამისთვის ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ ახლა გაჩუმებას ყველაფრის თქმა ვამჯობინე", - აღიარებს ალონსო.

შეგახსენებთ, რომ თავად ალონსო კანადაში მეშვიდე ადგილზე გავიდა. მან მონრეალში ძალიან სუსტად იასპარეზა. რად ღირს თუნდაც ის ეპიზოდი, როცა ბოლო წრეებზე, მსოფლიო ჩემპიონს "ურმით" ("სუპერ-აგური") მოასპარეზე იაპონელმა - **ტაკუმა სატომ** გაუსწრო.

ამ ეტაპის შემდეგ, ესპანელი რვა ქულით ჩამორჩა საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე მყოფ ჰემილტონს, რომელმაც, სხვათა შორის, ამ სეზონის ექვსივე რბოლა პოდიუმზე დაასრულა.

"მიუხედავად ყველაფრისა, მშვიდად ვარ. საკმარისი ოსტატობა გამაჩნია იმისთვის, რომ კვლავ მოვიპოვო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული", - ამშვიდებს თავის ფანებს ალონსო.

ფერნანდო ალონსო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲗᲘᲗᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲘᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲘᲫᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲚᲐᲕᲐ ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲑᲐ ᲐᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲝᲩᲐᲨᲘᲠᲘᲫᲔ ᲚᲔᲜᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲘᲫᲘᲨᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲫᲔᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲕᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲟᲔᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲐᲠᲘᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ
ᲔᲚᲔᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ
(დირექტორის მოადგილე),
ᲒᲘᲕᲘ ᲕᲔᲨᲐᲞᲘᲫᲔ,
ᲥᲗᲘᲕᲐᲜ ᲓᲘᲓᲒᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ: 46 34 48)
ᲑᲐᲥᲐᲠ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17)
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲔᲒᲐᲜᲝᲕᲘᲫᲔ

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲡᲘᲚᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: ᲨᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗᲘ
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10Ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ᲐᲮ. ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ);
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲔᲯᲐ ᲙᲘᲠᲘᲡᲐ